საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათი 7 ოქტომბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 10 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ ზომის (15 × 2) 300 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 227 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 227

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

ზესტაფონის ქალაქის გამგეობას

საჭიროთ სჭირია გამოცდილი მასწავლებელი მაღალ—დაწყებითი სასწავლებელში: 1) საზოგადო საგნების, 2) ახალი ენების, 3) გალობის და 4 ხატვა-ხაზვის.

მსურველებმა თხოვნები უნდა გამოგზავნონ ზესტაფონის ქალაქის თვითმართველობაში შესაფერი ცნობებით.

ქალაქის გამგეობა. (ნ. 2—2)

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის სატრანსპორტო განყოფილებას

ესაჭიროება შესაბმელი (დროგში) მუშა

ცხენები

არა უმეტეს 7 8 წლისა

დიდები, სქლები და თვინიერი. წინადადებით მიმართეთ საკომერციო განყოფილებაში (გოგოლის ქ. 51. ტელეფ. 11—54) საკომერციო ბიუროს თავმჯდომარეს ნ. ი. ფალილეევს ან სამეურნეო ნაწილის გამგეს ვ. თ. შჩედრინს (მალაკნის ქ. 48, ტელეფ 3—84, დილის 8—12 საათამდე!

(ნ. 3—2)

სახელმწიფო თეატრი

ოპერა 7 ოქტომბერს ოპერა

სევილიელი დალაქი

მონაწილეობენ: ბოიარსკაია, ოვსიანიკოვა, ზალიპსკი, დროზდო-პოლიაევი, ისეცკი, დემიანენკო, ეზროვი, ქურხული. 8 ოქტომბერს: **ევგენი ონეგინი**. 9 ოქტომბერს: ოპერა მუშებისთვის. **დემონი**. ოპერის დირექტორი ს. ი. ევლახიშვილი. (ნ. 1—1)

დაკარგე

უვადო პასპორტის წიგნაკი, პირადი მოწმობა, პარტიის წიგნაკი, და შვებულების ბარათი, მპოვნელს უმორჩილესად ვ თხოვ დამიბრუნოს შემდეგ მისამართით: ჩერქეზიშვილის ქუჩა № 107 ალექსი სალუქვაძეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება გაუქმებულათ. (3250—1—1)

საქართველოს კოოპერატიულ ბანკის მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა

თანახმად ბანკის დამფუძნებელ კრების (15 მარტი 1920 წ.) დადგენილებისა და ფინანსთა სამინისტროს სათანადო ნებართვისა საქართველოს კოოპერატიული ბანკი ადიდებს ძირითად თანხას 5.000.000 მანეთიდან—15.000.000 მანეთამდე; ამ ჟამათ გამოცემული იქნება 10.000 აქცია, თითო 1.000 მანეთის ნომინალური ღირებულებისა, შემდეგი პირობებით:

1. აქციებზე ხელის მოწერის უფლება აქვთ მხოლოდ კოოპერატიულ დაწესებულებებს (მომხმარებელ, საწარმოვო, სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერატივებს და მათ კავშირებს).
2. გამოსაცემი ფასი ამ აქციებისა დანიშნულია 1.050 მანეთი თითო აქციაზე, რომელი თანხაც შეიძლება გადახდილი იქნას ნაწილ ნაწილადაც: 30 % ნომინალურ ღირებულებისა—მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე; 30 % ნომინალურ ღირებულებისა—მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე, ხოლო დანარჩენი 40 % ამავე წლის პირველ დეკემბრამდე.
3. აქციების გამოსაცემ ფასიდან 1.000 მანეთი ჩაირიცხება ძირითად თანხაში და ორმოცდა ათი მანეთიც საორგანიზაციო ხარჯების ფონდში.
4. აქციებზე ხელის მოწერა შეიძლება სარაიონო კოოპერატივთა კავშირებშიდაც აქციათა ღირებულების დაწესებულ ვადებში წარდგენით.
5. ის დაწესებულებანი, რომლებიც არ შეასრულებენ მე 2-ე მუხლში აღნიშნულ პირობებს აქციათა ღირებულების განსაზღვრულ ვადაზე შემოტანის შესახებ, ჰკარგავენ უფლებას მეორე გამოცემის აქციათა შეძენისას.

(ნ. 10—3) **საქართველოს კოოპერატიული ბანკი.**

მეცხვარეთა საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობა

„მწყემსს“

რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით, იმ ორი ათასი (2000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობიდან მატყლის ადგილობრივად საფასურად, მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე ის მატყლის საბოლოოვოდ განაღდებამდის ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა ე. ი. . . . . 10 პროც.
2) მეცხვარეს—ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით ოთხნახევარი მეათედი ე. ი. . . . . . . 45 პროც.
3) სახელმწიფოს—მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი ე. ი. . . . . 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ გარეთის ბაზარზე.

(ნ. 10—1) **მომარაგების სამინისტრო.**

განცხადება

1 ოქტომბერს, დაიწყო მოქმედება თფილისში სამონოპოლიო მატყლის საწყობმა საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიათ

მომხმარებელ კოოპერატივებს

და სადაც ამნაირი არ არიან—იქ თემებს და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

მომარაგების სამინისტროს

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

შენიშვნა: რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან“, რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

მატყლის ყიდვა-გაყიდვა კერძო პირთაგან აკრძალულია

სახელმწიფოს საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) საშუალო ღირსების გაურეცხავი მატყლი . . . 4000 მ.
ბ) სუფთა ახალგორის და სხვა რაიონების . . . 4500 მ.

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები

ვალდებულნი არიან

ადგილობრივ **გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიყიდონ და ნორმალურად განაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

შენიშვნა: სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

(ნ. 10—1) **მომარაგების სამინისტრო.**

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის სამეურნეო განყოფილებას

ესაჭიროება ცალ ცხენიანი

კოზლით ეტლი

რკინის ან რეზინის თვლებით. წინადადებით მიმართეთ სამეურნეო განყოფილების კანტორაში (მალაკნის ქ. 48, ტელეფ. 3—84) დილის 8—12 საათამდე. (ნ. 3—2)

ქემალი და სომხეთი

ქემალ-ფაშას რომ სომხეთი სძულდა, ეს არავისთვის საიდუმლო არ იყო.

მაგრამ კომუნისტები თუ იმდენათ დაქვეითდებოდენ, რომ მის კაციჭამიობას, მის ველურ მტარვალობას, რომელიც გასული ომის ხანაში საშინელის სიშიშვლით გამოჩნდა, ხელს გაუწვდიდენ,—ეს კი არ გვეგონა. არ გვეგონა, თუ მოსკოვის ხელმძღვანელთ არ შერცხვებოდათ ასეთ კავშირისთვის ხელის გაწოდება.

ვერ ვიფიქრებდით, რომ ხალხი, რომელიც პლეხანოვს ვერ ითმენს და კაუცკის სახელის გაგონებაზე თრთის,—რევოლიუციონერობა აკლიათო,—ქემალ-ფაშას მიუჯდებოდა გვერდით და მის სისხლიან ფეოდალურ ხელს გულში ჩაიკრავდა. მაგრამ ეს მოხდა; გაშიშვლება რუსულ იმპერიალიზმისა და დანათესავება ოსმალეთის ბარბაროსობასთან დღეს უდავო ფაქტია.

მერე რა ნაყოფი მოიტანა ამ კავშირმა?

რუსეთი დღემდე საზავო მოლაპარაკებას აწარმოებს სომხეთთან, ქემალი კი სისხლიან ომს. მოსკოვი ჯარით მიმდგარია სომხეთის საზღვრებზე და ხელფეხს უბორკავს. ქემალი კი თავაშვებულია და სამხრეთიდან განადგურების ხმალი მოაქვს სომხის ერის გასაჟლეტათ. და ამ უკუღმართ მუშაობას, ამ ისტორიულ ბოროტებას, მუდმივ ლაქათ მოცხებულს, ვერ ჩამორეცხს ვერავითარი კომუნისტური ლაღადისი და საქვეყნო სოციალიზმისთვის ყიჟინი.

მარა ბოლშევიკებს ისტორიული შემარცხვენელი ლაქა დღეს სისხლის ღვარით ემჩნევა კავკასიის პატარა რესპუბლიკას, ჩვენს ახლო მეზობელს, და მუქარას ქმნის თვით ჩვენი ქვეყნისთვის.

მათი უკუღმართი ნაბიჯი, ბოროტი ხელი დღეს მრავალ ადამიანთა სიცოცხლეთ უჯდება—მეზობელ სომხეთს.

შეიძლება, სომხის მთავრობას დავუჯედროთ ყალბი პოლიტიკის წარმოება, შეიძლება, მას ვუსაყვედუროთ, რომ რუსეთთან მოლაპარაკების გაჭიანურებით და იქნებ მოთხოვნილებათა „გაზვიადებით“ მან ხელი შეუწყო ბოლშევიკებს ლაპარაკის მორევში ჩაეკლათ ნამდვილი ზავი და თავის ბნელი ზრახვები გაეხორციელებიათ; მაგრამ სომხეთის ერი, ხალხი, დემოკრატია, რომელმაც უნდა თავის ზურგზე გადაიტანოს, თავის სისხლით გამოისყიდოს ყოველი ეს შეცდომანი, განა არაა ღირსი მეგობრული ხელის გაწოდების? რით შეიძლება გამართლება ქემალის შემოსევის? მხოლოდ მისი ველური ზრახვებით. რა მოტივები ამოძრავებს მას? მხოლოდ სომხეთის სიძულვილი. მაგრამ კომუნისტებს? ეს უკანასკნელნი რა სარგებლობას გამოელიან ამ უმაგალითო მსხვერპლიდან? ამ უსაშინელესი ბოროტების დათესვიდან?

განა სომხეთის მიდამოებში სისხლის ტბის დაყენება შეაკრთობს ევროპის იმპერიალისტებს? განა მცირე ერების ასე გასრესა შეიძლება დაედვას საფუძვლათ ევროპის ბურჟუაზიის დამხობას?

თუ, პირიქით, იგი საბოლოოთ გააკოტრებს არა ქემალს—იგი უკვე დიდი ხანია მხოლოდ ველურობის ემბლემაა,—არამედ მას მოკავშირე კომუნისტებს ევროპის ყოველ პროგრესიულ ძალის თვალში.

და ჩვენი დემოკრატია ერთხელ კიდევ დაინახავს ამ აქტში იმ შავ სახეს და ბალღამიან გულს, რომელიც ახასიათებს ჩვენს გარშემო შეკრულ შავ წითელ ძალებს. ჩვენი დემოკრატია, იმედი გვაქვს, სრულს სიფხიზლეს და პოლიტიკურ გამჭრიახობას გამოიჩენს ამ კარზე მომდგარ საფრთხის წინაშე. სომხის ხალხი თავის მხრივ სამკვდრო-სასიცოცხლო პრობლემის წინაშე, შემოიკრებს, უნდა შემოიკრიბოს ყველა სასიცოცხლო ძალები და გაალმასებული იკვეთოს მტერს. მთელი ჩვენი თანაგრძნობა და სიმპატია მათ მხარეზეა, ვინც იცავს თავის თვითარსებას, თავის ფიზიკურ სიცოცხლის გადარჩენის პირობებს.

მინისტრ ნ. ხომერიკის ცირკულიარი

მიწათ მოქმედების მინისტრმა ერობებს მისწერა—მიიღეთ ყოველივე ზომები მოსავლის გასაუმჯობესებლათო. ერთის შეხედვით თითქოს არაფერი მომხდარა ისეთი, რომ მასზე საჭირო იყოს განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა, მარა თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს სინამდვილეს,—ცირკულიარი ღირსია უდიდესი ყურადღების.

დღემდის ჩვენი მოღვაწეობის ყველა სფეროს ემჩნეოდა და ემჩნევა ერთ-გვარი უყურადღებობა ისეთ საკითხების მიმართ, რომლებიც თითქოს არ ეკუთვნოდენ პირველი რიგის საკითხებს. ისეთი საკითხები, რომლებიც შეეხება მიწის დამუშავებას და სხვა ასეთებს თითქოს არ იყო ღირსი ჩვენი უდიდესი ყურადღების. გვინდოდა მთელი და თითქოს გვავიწყდებოდა, რომ ეს მთელი შესდგება ნაწილებისაგან. გვიტაცებდა პოლიტიკა,—გვავიწყდებოდა, უკეთ, ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით ეკონომიკას, ეს და ამ ეკონომიკის საფუძვლის გამაგრებას ვფიქრობდით გარეშე ჩვენი ქვეყნის ეკონომიური შესაძლებლობისა.

დღეს, საბედნიეროთ, თან და თან ფეხს იკიდებს და მკვიდრდება ის შეხედულება, რომ როგორც პოლიტიკაში, ისე ეკონომიკაში უნდა დავეყრდნოთ უმთავრესათ ჩვენს საკუთარ ორიენტაციას. აქედან კი გამომდინარეობს მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც ითხოვენ დაუყონებლივ გადაჭრა-მოწესრიგებას.

ჩვენ მოვისმინეთ ამ დღეებში ერობათა კავშირში სმირნოვის მეტად საყურადღებო მოხსენება ჩვენი ერობების მოღვაწეობის შესახებ და ამ მოხსენებაში წითელი ზოლივით იყო გაწოლილი ის აზრი, რომ საჭიროა ერობათა ეკონომიური საქმიანობის მაღალ სფეროზე დაწევა და ფეხის გამაგრება დღიურ მუშაობაში, რომელიც დღეს ყოველგან წვრილმან საქმეთ არის მიჩნეული. საყურადღებოა, რომ ერობაში მხოლოდ ერთს მოსვლია აზრათ, რომ ყურადღება მიექცია მაგ. ისეთი რამისათვის, როგორც არის სამინდვრო კულტურის გაუმჯობესება. მოხსენებაში სმირნოვმა გაგვაცნო, რომ ამ ერობის ანგარიშით, თუ მაგალითად, სიმინდის თესვა შემოღებული იქნება კვალობით, მთელ მაზრას გადაურჩება 100 ვაგონი სათესლე სიმინდი, რამდენიმე ათასი მუშა ხელი და მოსავალი იქნება ხუთჯერ მეტი, ვინემ დღეს. რა იქნებოდა იმაზე უკეთესი, რომ ჩვენს ერობებს ასეთი რამეებიდან დაეწყოთ თავის ეკონომიური მოღვაწეობა! უეჭველია ჩვენი რესპუბლიკა ბევრს რამეს მოიგებდა. მარა რაც არ იყო დღემდის, ის უნდა დაიწყოს დღეს. სამწუხაროთ, ჩვენ არ ვხედავთ ისეთ ორგანოს, რომელიც თავის სპეციალურ პრაქტიკულ მოქმედების მიზნათ ისახავდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური საქმიანობის სისტემატიურ ხელმძღვანელობას და ამა თუ იმ მიმართულების მიცემას. ამ სფეროში ყველაფერს შემთხვევითი ხასიათი აქვს და სანამ მას სისტემატიური ხასიათი არ მიეცემა, სანამ ასეთი საქმიანობა მიზნათ არ იქნება დასახული არა მხოლოდ თეორიულ სფეროში, არამედ პრაქტიკულ, ყოველ-დღიურ საქმიანობის სფეროში,—მანამ შეუძლებელია ფიქრი ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებაზე. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ეს საკითხი შესაფერ ადგილს დაიჭერს, როგორც აზროვნებაში, ისე პრაქტიკულ, ყოველ დღიურ მუშაობაში და მის გარშემო დატრიალდება მთელი რესპუბლიკის ცოდნა და ენერგია. ამაშია ხსნა და დაგვიანება ყოველი წუთის—смерти подобно.

განი.

სოციალისტურ პარტიის კრიზისი საფრანგეთში

საფრანგეთის სოციალისტური პარტია, ისე როგორც მთელი მუშათა მოძრაობა, ამ ჟამათ დიდ კრიზისს განიცდის.

როგორც ვიცით, ომის დროს სოციალისტური პარტია ეროვნული თავდაცვის პოლიტიკას ატარებდა, რადგან საფრანგეთის მუშათა კლასის რწმენით საფრანგეთს გარეშე მტერი თავს ესხმებოდა და ის მოვალეობათ სთვლიდა, საერთაშორისო კონგრესების გადაწყვეტილების თანახმათ, მოეგერებინა მტერი და დაეცვა მხარე უცხოელთა შემოსევისაგან. ომის პირველ ხანებში, 2—3 წლის განმავლობაში მუშათა კლასი, ისე როგორც სოციალისტური პარტია, ამ საკითხში ერთსულოვანობას იჩენდა და ოპოზიციას პარტიაში სრულიად არ ჰქონდა ადგილი, მაგრამ ომი ნამეტანი გაგრძელდა, ცხოვრება გაძვირდა, ხალხი ეკონომიურათ შევიწროვდა, სანოვაგე მოაკლდა, ომში აუარებელი ახალ-გაზრდა სიცოცხლე დაიღუპა. მუშათა კლასშიც ცოტა არ იყოს, უკმაყოფილებამ თავი იჩინა და ღელვის ნიშნები დაეტყო მას. ამას მოჰყვა პარტიაში ოპოზიციის დაბადება, რომელიც ძველ ტაქტიკას შეცდომათ სთვლიდა და ომის შეწყვეტას და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას მოითხოვდა. რუსეთის რევოლიუციამ და განსაკუთრებით 1917 წ. ბოლშევიკურმა გადატრიალებამ (რომელიც ბევრს მართლა სოციალისტური ეგონა) კიდევ უფრო გაათამამა მუშები და პარტიის უმცირესობამ დღითი დღე ზრდა იწყო. პარტია, საზოგადოთ, ძლიერ გაძლიერდა იმ მხრივ, რომ მას აუარებელი ახალი წევრი მიემატა, განსაკუთრებით გამოუცდელი ახალგაზრდობა, რომელიც თავის უმრავლესობით სტიქიურათ ოპოზიციას მიემხრო. ცოტა ხნის განმავლობაში უმრავლესობა უმცირესობათ გადაიქცა. ამ უმრავლესობისაგან შესდგა პარტიის ცენტრი; უმცირესობაში დარჩენ მარჯვენით ძველი (ცოტა არ იყოს გადაჭარბებულათ) ნაციონალურ პოლიტიკის მატარებელი ნაწილი რენოდელისა და სხვების მეთაურობით და მარცხნით ახლად გამოჩეკილი ბოლშევიკები, ლენინის თაყვანისმცემელი უმნიშვნელო ჯგუფი ლორიოს, აქამდის სრულიად უცნობ „ლიდერის“, ხელმძღვანელობით. ცენტრს სათავეში უდგა კაშენი, ლონგე, ფროსარი, ამ ბოლო დროს ნიქერი ბლუმი და სხვ., რომელნიც არ იზიარებდენ ბოლშევიზმის არც დოქტრინას და არც მეთოდს, მარა მხარს უჭერდენ მას და ხელს უწყობდენ რუსეთში მის სრულ გამარჯვებას და იბრძოდენ მთელ პარტიასთან ერთად რუსეთის შინაურ საქმეში უცხო სახელმწიფოების ჩარევის წინააღმდეგ. მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ეს ცენტრი თან და თან „მარცხნივ“ იხრებოდა.

პარლამენტის არჩევნებიც მოახლოვდა. აქ კი პარტიამ სრული პოლიტიკური უგნურება დაამტკიცა. იმის მაგიერ, რომ წევრები და ამომრჩევლები შემოეკრიბა თავის ირგვლივ რომელიმე საინტერესო და საამდროვო ლოზუნგის საშუალებით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის საარჩევნო ლოზუნგათ მიუხედავათ პროტესტებისა, რუსეთის ბოლშევიკების დაცვა გაიხადა, ლენინზე ლოცვა დაიწყო და პირველ კანდიდატათ რუსეთში შერჩენილი სამხედრო მისიის წევრი ახლად გაბოლშევიკებული სადული გამოაცხადა მაშინ, როცა ბურჟუაზიულმა პრესამ შესაჩნევად დააშინა ხალხი ბოლშევიზმის საფრთხეთი და ზომიერი სოციალისტებიც მას მეთოდსა და მოქმედებას კრიტიკას ალში ატარებდენ,—აი, ასეთ დროს ბოლშევიზმის ქება-დიდებით გამოსვლა, რასაკვირველია, ყოველივე ტაქტს მოკლებული და დამღუპველი საარჩევნო კომპანია დარჩა. ეს ბრმას გარდა ყველასათვის ცხადი იყო. ამატომ იყო, რომ პარტია სასტიკად დამარცხდა, ერთი ნაწილი მას კიდეც ჩამოშორდა და მისი წარმომადგენლები პარლამენტში განახევრდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას რომ დემოკრატიული პოლიტიკა ეტარებინა [illegible] ლად, საფრანგეთის [illegible] ეჭვი არ არის, მას [illegible] მეტი დეპუტატი და [illegible] ვრობაზე და მის [illegible] გავლენა ექნებოდა პარ[illegible] ციაც ვერ დაიწყებდა [illegible] გორც ეს დღეს ხდება.

სამწუხარო ის არის, [illegible] ახალ გამოჩეკილი „ბოლ[illegible] რები პარტიის დაქუცმა[illegible] მაყოფილდენ. მათ სინდ[illegible] ზაური მოახდინეს და [illegible] დერაციის—ამ მძლავრ [illegible] ზაციის—დამხობაც [illegible] მიზანი იყო პროფესიონ[illegible] ბის პოლიტიკურ ორგა[illegible] ცევა და მათი „გაკომ[illegible] გავლენას მოჰყვა ამ წ[illegible] სის, სხვა ნაირად ვერ ვი[illegible] რი გაფიცვა, რომელი[illegible] აგიტატორების აზრით [illegible] ბოლავებულიყო, სანამ [illegible] რიგის პოლიტიკური [illegible] მოთხოვნილებანი—მათ [illegible] თან ზავი—არ იქნებ[illegible] ფილებულნი. მაგრამ [illegible] ბელი გაფიცვა ვერ [illegible] როული, მუშებს დიდ[illegible] მონაწილეობაც არ მიუ[illegible] თქმა უნდა, დამთავრ[illegible] მარცხებით და გაფიცვ[illegible] სის ამ უდიდეს საბ[illegible] ლის პროფანაციით დ[illegible] ამ გარემოებამ ძლიერ[illegible] შათა კლასი და თვ[illegible] ლურ კავშირების გამ[illegible] დების მოთმენის ფია[illegible] თამამათ ამხედრდენ [illegible] წინააღმდეგ, რომელნიც [illegible] ვით დავინახავთ, სასტ[illegible]

ეხლავე უნდა მოვიხს[illegible] გორც ვიცით, სტრასბ[illegible] სის გადაწყვეტილებით [illegible] პარტიამ მეორე ინტერ[illegible] ტოვა, მაგრამ მესამეც [illegible] ქრობდა მეოთხე ინტერ[illegible] ქმნას, რომელსაც უნდ[illegible] სხვადასხვა მხარის მუშ[illegible] ლიტიკური ორგანიზაც[illegible]

დღეს

ოსმალები სომხეთზე შეტევას განაგრძობენ.

გუშინ თფილისში გაიმართა თფილისში მცხოვრებ სომეხთა მრავალრიცხოვანი საპროტესტო დემონსტრაცია ოსმალეთის ჯარების სომხეთზე თავდასხმის გამო.

ბოლშევიკების ცნობით მახნო ვრანგელის წინააღმდეგ იომებს.

მათივე ცნობით სტამბოლში და პარიზში ხდება ვრანგელის მომხრე ოფიცრების მობილიზაცია.

რუსეთ-პოლონეთის საზავო დელეგაციებმა დაადგინეს ხელი მოაწერონ დროებით ზავს არა უგვიანეს 8 ოქტომბრისა.

ფინლიანდიას და საბჭოთა რუსეთს ურთიერთ შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დაუდვიათ.

რათ აღიდგინა ნამდვილი ინტერნაციონალი. შესაძლებელია ასეთი პოლიტიკა გონიერი ყოფილიყო, მაგრამ ერთმა გარემოებამ შესცვალა სურათი და სრულიად აუბნია გზა-კვალი საფრანგეთის სოციალიზმის ზოგიერთ წარმომადგენლებს. პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა მოსკოვში გაგზავნა კაშენი, „ჰუმანიტეს“ დირექტორი და პარტიის მდივანი ფროსარი. მათ დაეკისრა ბოლშევიზმის მეთაურებთან მოლაპარაკება, რუსეთის ნახვა, მისი ეხლანდელი მდგომარეობის შესწავლა. დაბრუნებისას მათ პარტიისათვის მოხსენება უნდა გაეკეთებინათ. სწორედ ამ დროს მოსკოვში გაიხსნა მესამე ინტერნაციონალის კონგრესი. ლენინმა მოიწვია მასზე დასასწრებლათ, როგორც სტუმრები, ფრანგის დელეგატები. კონგრესის შემდეგ თავცხელა დელეგატებმა დეპეშა გამოგზავნეს პარიზში, სადაც ისინი აღფრთოვანებით მოუწოდებდენ ამხანაგებს და მესამე ინტერნაციონალში შესვლას ურჩევდენ. ამ დეპეშამ დიდი მითქმა-მოთქმა და აზრთა შეჯახება გამოიწვია პარტიაში, კაშენს მისი დაახლოვებული ამხანაგებიც უსაყვედურებდენ მის საქციელს და ასეთი შინაარსის დეპეშის გამოგზავნას უტაქტობას აწერდენ. როცა ფროსარი და კაშენი დაბრუნდენ დაწყებული დისკუსია კიდევ უფრო გამწვავდა. დაბრუნებული დელეგატები ქებას ასხამდენ ბოლშევიზმს, მარა მასსას აღფრთოვანება არ ეტყობოდა. რუსეთის მდგომარეობა ისე მორცხვათ იყო აწერილი და „განხორციელებული“ სოციალიზმი ბურუსით მოცული, რომ ბევრ „მორწმუნეს“ ეჭვი შეეპარა ლენინის მიერ დამყარებულ „სამოთხის“ არსებობაში. მესამე ინტერნაციონალში შესვლის პირობების გამოქვეყნებამ ხომ ლენინის ბევრ თაყვანისმცემელსაც გაუცივა გული. რაც შეეხება შრომის ფედერაციის მდივანს—ცნობილ ჟუოს, მან აშკარათ განაცხადა, რომ ის წინააღმდეგია საფრანგეთის მთავრობის რუსეთის საქმეში ჩარევის, მარა ის სრულიად არ იზიარებს ბოლშევიზმის დოქტრინას და მეთოდს და მესამე ინტერნაციონალიც მისთვის არ არსებობს. ასეთი განცხადებით გამოვიდა ის რკინის გზის მუშათა კონგრესზე, შეებრძოლა მაქსიმალისტებს, რომელნიც ამ დროს დასაზღვრულ მუშათა კავშირების სათავეში იყვნენ და სრულიად დაამარცხა ისინი. კავშირის კომიტეტში დიდი უმრავლესობით ძველი მეთაურები გავიდნენ. ამ მოვლენამ ძლიერ დააფიქრა უკიდურესნი, რადგან შრომის კონფედერაცია აკავშირებს საფრანგეთის თითქმის მთელ მუშათა კლასს და დიდი გავლენაც აქვს მას. და თუ აქ „შეიცვალა“ აზრი, „კომუნისტების“ წარმომადგენლებს პარტიაში შიში მოელით. ეს კარგათ ესმით ამ უკანასკნელთ და ცოტა არ იყოს დავთარი აერიათ მათ.

სექტემბრის 27-ს დაიწყო საფრანგეთში შრომის კონფედერაციის საზოგადო კონგრესი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის დამთავრდება პროფესიონალურ მოძრაობისა და გონიერ სოციალისტების სრული გამარჯვებით. ეს იმის მაჩვენებელია, თუ რა გზას დაადგება სოციალისტური პარტია. მე ვფიქრობ, რომ ეს გარემოება დიდ გავლენას იქონიებს საფრანგეთის პარტიაზე. ამ უკანასკნელის ყრილობა დანიშნულია 1 ნოემბრისთვის, სადაც უნდა გადაწყდეს, ივლის მუშათა კლასის პოლიტიკური ორგანიზაცია დემოკრატიულის გზით, როგორც ყოველთვის, თუ მესამე ინტერნაციონალს შეუერთდება ის. ბევრი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კონგრესი უარს იტყვის ლენინის ეკლესიაში შესვლაზე.

ამ შემთხვევაში ადვილი არ არის იმის თქმა, თუ როგორ მოიქცევიან უმცირესობაში დარჩენილნი „ბოლშევიკები“. ადვილი შესაძლებელია, ისინი გავიდენ პარტიიდან, მარა ისიც მოსალოდნელია, რომ ისინი არ მიატოვებენ პარტიას და ეცდებიან შიგვე განაგრძონ „მუშაობა“ იმ ცრუ იმედით, რომ ერთ დღეს ფეხს მოიდგმენ, პარტიას მოწამლავენ, გაბატონდებიან და პარტიის მართვა-გამგეობასა და პრესას ხელში ჩაიგდებენ. ძნელია კი იმის თქმა, თუ რა გზას დაადგება უმრავლესობა. რენოდელი მეუბნებოდა კერძო ლაპარაკში, რომ მემარჯვენე ფრთა რენოდელის მომხრენი მოითხოვენ კომუნისტების პარტიიდან გასვლას, უკეთ რომ ვთქვათ, მათ გაძევებას, მარა არა მგონია ამ საკითხში მას მხარი დაუჭიროს უმრავლესობამ.

მარა ეჭვს გარეშეა, რომ, თუ (რაც არ არის მოსალოდნელი) კონგრესი გადაწყვეტს მესამე ინტერნაციონალში შესვლას, მას უმცირესობა არ გაჰყვება, ჩამოშორდება და ამნაირათ პარტია გაითიშება. ყოველ შემთხვევაში, ისეთია მდგომარეობა, რომ პარტიას გაუჭირდება მთლიანობის დაცვა და განხეთქილებას დიდის ხნით ის თავიდან ვერ აიცდენს.

ასეთი ამბავი ხდება ლენინის ბოლშევიზმის მეოხებით ევროპის მუშათა კლასში, ასე ცდილობს კომუნიზმი დაარღვიოს და დაქსაქსოს პროლეტარიატი ორგანიზაციულათ და იდეურათ. მაგრამ ჩვენ ღრმათ გვწამს ევროპის მუშათა კლასის გონიერება. ბოლშევიზმი ვერ მოიკიდებს ფეხს იქ. ბოლშევიზმს რუსეთში თავისი გასამართლებელი საბუთი ჰქონდა და ევროპაში არ არსებობს მისი შემქმნელი მიზეზები. ბოლშევიზმი შეუგნებლობის, უმეცრების ღვიძლი შვილია, ეკონომიურათ ისე, როგორც ყოველ მხრივ ჩამორჩენილ ქვეყნების ავათმყოფობაა და ასეთი ეპიდემია ვერ გადასცილდება კულტურულ მხარეებში და ადრიანათ მოისპობა.

ევროპის მუშათა კლასი იგებს, რომ დემოკრატიულ გზიდან გადახვევა სოციალიზმის განვითარებას მხოლოდ აფერხებს და მის განხორციელების მომენტს აშორებს.

ანტონ ჟორჟოლიანი.

ოსმალეთის სომხეთზე შეტევის გარშემო

— სომხეთის დიპლომატიური მისიისაგან. ოფიციალ. იუწყებიან: მტერმა სცადა ყარსის შემოვლით სოფელ ხარამვართანზე თავდასხმა, მაგრამ რესპუბლიკის ჯარებმა შეაჩერა, დანარჩენ ფრონტიდან ოქტომბრის 5 ცნობები არ მოსულა. მობილიზაციით გაწვეულთა შორის დიდი აღფრთოვანებაა. ყარაკლისში მობილიზაციით გაწვეულთა 60% უარი სთქვა ჯანმრთელობის შემოწმებაზე და განაცხადეს ჩვენ უნდა შევასრულოთ ჩვენი მამულიშვილური მოვალეობა.

— სომხეთის დიპლომატიურ მისიასთან არსებული სამხედრო წარმომადგენლობა ოქტომბრის 6 თფილისში ღებულობდა მოხალისეებს და მათ სომხეთში წასასვლელ მოწმობებს აძლევდა.

— ოქტ. 6. მოხდა თფილისში მცხოვრებ სომეხთა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია ოსმალეთის ჯარების სომხეთზე თავდასხმის გამო პროტესტის გამოსაცხადებლად. დემონსტრაციაში მონაწილენი შეგროვდნენ ვანქის ტაძართან. აქედან დემონსტრაცია დროშებითა და პლაკატებით სომხეთის მისიისაკენ გაემართა. მათ აქ სომხეთის მდგომარეობის შესახებ სიტყვა უთხრა სომხეთის დიპლომ. წარმომად. ბეკზადიანმა. შემდეგ დემონსტრაცია დამფუძ. კრებასთან მივიდა, სადაც გაიმართა მიტინგი. იქიდან დემონსტრანტები გაემართენ თავისუფლების მოედანისაკენ და შემდეგ უცხოეთის სახელმწიფოების მისიისკენ. პლაკატებს ეწერა: ძირს ომი! გაუმარჯოს სომხეთისა და საქართველოს კავშირს! და სხვა.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

მახნო ვრანგელის წინააღმდეგ.

უკანასკნელ კვირეების განმავლობაში მახნოს ნაწილებს რაღაც გარდატეხა ეტყობოდა. უკრაინაში ვრანგელის შესვლისთანავე მახნოს ნაწილებში იზრდებოდა შეგნება, რომ მათი ინტერესები ინდენტიურია ბარონის წინააღმდეგ მებრძოლ უკრაინისა და რუსეთის გლეხებსა და მუშების ინტერესებთან. ასეთ სულიერ განწყობილების გამო, მახნომ თავის ნაწილების მოთხოვნილებით, მიმართა წინადადებით სარდლობას მიეცათ მისთვის უფლება წითლებთან ერთად ბარონის წინააღმდეგ ებრძოლა. მახნომ პირობა მისცა სარდლობას, რომ იგი არ უღალატებს მას და იბრძოლებს ბარონის წინააღმდეგ. მახნოს წინადადება მიღებულია და მას უკვე მიცემული აქვს სამხედრო ამოცანა ბარონ ვრანგელის წინააღმდეგ.

ბრძოლა დეზერტირობასთან.

სარატოვის გუბერნიის პუგაჩოვის მაზრის გენერალური გაწმენდა ხდება დეზერტირებისაგან. დეზერტირობას ძირიანად სპობენ.

წამალი.

საბჭოთა რუსეთი წამლების დიდ უქონლობას განიცდის. წამლის შემოტანა, შესწყდა მოკავშირე იმპერიალისტთა ბარბაროსულ ბლოკადის გამო. ახლა იტალიამ გამოგზავნა 8 ვაგონი წამალი, ინგლისმა 2 ვაგონი და გერმანიამ 3 ვაგონი. ამხანაგმა კრასინმა ინგლისში დიდძალი წამალი შეისყიდა. წამალს რეველით რუსეთში აგზავნიან. ამას გარდა ჩვენმა ამერიკაში მყოფმა მეგობრებმა დიდ ძალი მედიკამენტები გამოგვიგზავნეს.

ვრანგელის მოწოდება.

ვრანგელი მოუწოდებს თავის ბანდებში ყოფილ ოფიცრებს, რომლებიც საზღვარ გარეთ გაიქცენ. კონსტანტინოპოლში და პარიზში ხდება მათი მობილიზაცია.

საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა შეავსოს პოლონეთის ჯარები და გაგზავნა მათთან სისხლის სამართლის დამნაშავენი. იმ დამნაშავეებს, რომლებიც ფრონტზე წასვლაზე უარს აცხადებენ ციხეში აგზავნიან.

ზავი ფინლიანდიასთან.

იურევი. ოქტ. 5. დღეს საღამოთი საზავო კონფერენციის სხდომაზე მიღებულ იქნა ფინლიანდიისა და რუსეთის საზავო ხელშეკრულების ყველა მუხლები.

შეთანხმება პოლონეთთან.

საზავო კონფერენციის წარმომადგენლობის თათბირმა ხელი მოაწერა შემდეგ ოქმს: რუსეთ-უკრაინის დელეგაციისა და პოლონეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეებმა ოქტომბრის 5-ის სხდომაზე დაადგინეს: ვინაიდან კონფერენციაზე ორივე მხარის წარმომადგენლებს შორის პრელიმინარულ ზავის მთავარ საკითხების შესახებ შეთანხმება მოხდა, მოაწერონ ხელი დროებით ზავს არა უგვიანეს ოქტ. 8 სა. ხელს აწერს რუსეთ-უკრაინის საზავო დელეგაციის თავმჯდომარე ა. იოფე და პოლონეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარე ი. დომსკი.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

გერმანიის ჯარის რიცხვი.

ბერლინი. სექტ. 27. გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, რომ სექტემბრის 1 გერმანიის ჯარის რიცხვი 184.000 კაცს არ აღემატებოდა.

დახვრეტილთა სია.

მოსკოვი. სექტემბრის 25. პრავდაში გამოქვეყნებულია მოსკოვის ჩრეზვიჩაიკის დადგენილების თანახმად დახვრეტილთა ახალი სია. დაუხვრეტიათ, სხვათა შორის, წინასწარ განზრახვით მოპარულ პურის ყიდვისა და გაყიდვისათვის.

მუშების მდგომარეობა საბჭოთა რუსეთში.

„პრავდას“ ცნობით საბჭოთა მეურნეობის მუშები ნახევრად დანგრეულ შენობებში სცხოვრობენ. ისინი დაგლეჯილ ფეხსაცმელებით დადიან. 14—16 წლიანები ხშირად დილიდან გვიან ღამემდი მუშაობენ. სკოლები საბჭოთა მეურნეობის ადგილებში და სოფლებში არ არსებობს. არაა აგრეთვე მასწავლებლებიც. მუშები ბნელ და ჭუჭყიან ბინებში სცხოვრობენ. მუშობენ მცირე წლოვანი ბავშვებიც. ამ ცნობას ხელს აწერს სასოფლო მეურნეობის მუშათა შრომის ინსპექტორი შერშოვი.

ახალი ამბები

ქალაქთა კავშირში. ქალაქთა კავშირის კომიტეტმა დაავალა მედიკო-სანიტარულ განყოფილებას გამოიკვლიოს საკითხი, თუ რამდენათ შესაძლებელია სურამში ცენტრალურ კლიმატიურ სადგურის და მთელი რესპუბლიკისათვის ცენტრალურ საავადმყოფოს დაარსება.

◆ **ფინანსთა სამინისტროში.** საბაჟო შემოსავალი. თანახმად ფინანსთა სამინისტროს ცნობებისა მიმდინარე ხარჯთაღრიცხვის წლის განმავლობაში თავდაპირველად საბაჟო შემოსავალი 817,288 მანეთს არ აღემატებოდა. ამა წლის მარტში, როდესაც შემოსატან საქონელზე ახალი საბაჟო გადასახადი დაწესდა, შემოსავალი ორჯერ გაიზარდა. აპრილში შემოსავალმა 10 მილ. მან. მიაღწია, მაისში კი 11 მილ. მან გადააჭარბა. ივნისში შემოვიდა 13 მილ. მან., ივლისში დაახლოვებით 30 მილ. მან. და დასასრულ აგვისტოში საბაჟო გადასახადის სახით შემოვიდა 48,502,389 მანეთი.

◆ **სოფლების ადმინისტრატიული გადამიჯვნა.** ველის ციხის თემმა შუამდგომლობა აღძრა სიღნაღის ერობის ზოგიერთ სოფლის თელავისა და თიანეთის სამაზრო ერობის ფარგლებში შეტანის შესახებ. სიღნაღის ერობამ ამ საქმის გამო მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, დამ. კრებას და ერობათა კავშირის კომიტეტს და აუწყა მათ, რომ ასეთი გამიჯვნა სიღნაღის ერობის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

◆ **ციხეების რევიზია.** საპყრობილეთა ინსპექციის განკარგულებით დაინიშნა განსაკუთრებული სარევიზიო კომისია ციხეების სამეურნეო მდგომარეობის გამოსარკვევად.

◆ **წითელი ჯვრის საზოგადოება.** წითელი ჯვრის გამგეობასთან დაარსდა მოწყალე დათა საზოგადოება. საზოგადოებაში ოცი მოწყალე და შედის. წესდების დამტკიცებამდე თემმა გამოიმუშავა დროებითი დებულება. მოწყალე დებმა უნდა იცოდენ სახელმწიფო ენა და უნდა დაემორჩილონ წითელი ჯვრის საზოგადოების წესდებას.

◆ **ქ. ბორჯომის შუამდგომლობა.** ბორჯომის ქალაქის თვითმმართველობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე მიაწოდონ ბორჯომს პური, ან და მას ნება დართონ და თვით ქალაქმა გამოიტანოს თვისივე საშუალებით პური მოსავლიან ადგილებიდან. მომარაგების სამინისტრომ ქალაქ ბორჯომის თვითმართველობის შუამდგომლობა დააკმაყოფილა. გორში მყოფ სამინისტროს წარმომადგენელს ეცნობა, რომ ბორჯომს უფლება აქვს გაიტანოს გორის რაიონიდან მისთვის საჭირო პური.

◆ **რკინის გზებზე.** რკინის გზის სამმართველომ გამოაქვეყნა რკინის გზის მოძრაობის შესახებ ორი წლის ანგარიშები. მიმდინარე წლის დასაწყისში სამგზავრო მატარებლები უფრო მეტი იყო, ვიდრე მშვიდობიანობის დროს. 1919 წ. მაისიდან 1920 წ. მაისამდე ჩვენი სამგზავრო მატარებელი ევლახამდი დადიოდა და აგრეთვე ამერიკის საქონელი მიქონდა გუმბრამდე. უცხოეთის ტერიტორიაზე მოძრაობისაგან ჩვენს სახელმწიფოს დიდი შემოსავალი ჰქონდა. 1919 წელში ორთქმავლების იჯარით გაცემისაგან საქართველოს შემოსავლია 9 მილიონი მანეთი, უცხოეთის ტერიტორიაზე ჩვენი მატარებლების მოძრაობას მოუცია 55 მილიონი მანეთი.

◆ **ლიუკის დეპეშა.** ამიერ-კავკასიაში მყოფმა დიდი ბრიტანეთის ყოფილმა უმაღლესმა კომისარმა ლიუკმა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „მანამ საქართველოს დავსტოვებდე, მე მსურს კიდევ გამოვსთქვა ჩემი გულწრფელი კეთილი სურვილი, რომ თქვენმა ქვეყანამ მშვიდობიანათა და კეთილად იცხოვროს. კომანდორი ლიუკი“.

◆ **შვებულებიდან დაბრუნდა** და თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა გზათა უწყების დეპარტამენტის დირექტორი ბ. ჰეჰნაძე. დირექტორი იღებს მთხოვნელებს ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის $10\,^1/_2$ საათიდან.

◆ **ხეთა-ზუგდიდის რკინის გზა.** ფოთისა და ბათომის ნავთსადგურებსა და ხეთა-ზუგდიდის რკინის გზაზე მუშაობის გასაცნობად გაემგზავრა გზათა უწყების დეპარტამენტის დირექტორი ინჟინერი გვარამაძე.

◆ **მიწად-მოქმედების სამინისტროში.** მიწად-მოქმედების სამინისტროსთან არსებული საავარაკო კომისია რაჭაში გაემგზავრა. კომისიის მიზანია შეისწავლოს და გამოარკვიოს უწერისა, გლოლისა, ბუგეულისა, [illegible]სის მადნეული წყლები.

◆ **გ. ჟორდანიას სამსახურიდან წასვლა.** იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი გ. ჟორდანია სამსახურიდან გავიდა.

◆ **სოფ. ქარელში** გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

◆ **ქ. თფილისის პროფ. კავშირების** საბჭოს თავმჯდომარე ა. ხელაძე 26 სექტემბერს ავად გახდა მუცლის ტიფით ამ ჟამად უკეთ გრძნობს თავს.

◆ **გორის აღდგენა.** გზათა უწყების დეპარტამენტს აუწყებენ, რომ გორის რკინის გზის სადგურისა და გორისა და ქარელის წყლის შენახვის აღსადგენად სწარმოებს სასწრაფო მუშაობა. მუშაობის გაძლიერებლად და გასანოყიერებლად აღძრულია შუამდგომლობა ამ საქმეში მომუშავეებისთვის რაციონის მიცემის შესახებ.

— გორის ქალაქის თვითმართველობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს სთხოვა ნება დაგვრთეთ ვისარგებლოთ დანგრეულ ყაზარმების მასალით ქალაქის თვითმართველობის შენობის ასაგებათ.

◆ **ფინანსთა სამინისტროში.** ფინანსთა სამინისტროს ცნობით მიმდინარე წლის აგვისტოში სახელმწიფო გადასახადებისაგან შემოსულა 154.255.990 მ. წინანდელ თვესთან შედარებით შემოსავალი 32 მილიონ მანეთით გადიდებულა. უკანასკნელ თვეებში სახელმწიფო გადასახადებისაგან შემოსული გადასახადი ძალიან გაიზარდა, რაც სჩანს წინანდელ წლის ამავე თვეების შემოსავალთან შედარებით. ამ ხნის განმავლობაში შემოსავალი ცხრაჯერ გადიდებულა. კერძო საზოგადოებისაგან შემოსავალი 37-ჯერ გადიდდა. სახელმწიფო გადასახადებისაგან შემოსავალი ნამეტურ მიმდინარე წლის შეიქმნა თვალსაჩინო; მაგალითად, ივნისში შემოსავალი 96 მილ. მანეთი, ივლისში—122 მილ. მანეთი, აგვისტოში—154 მილ. მან. გადასახადებისაგან ყველაზე მეტი შემოსავალი ჰქონია თფილისის ხაზინას, შემდეგ ბათომის, სოხუმის, ქუთაისის, ფოთის და სხ.

კრებები.

მეორე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა შესდგება დღეს საღამოს სრულ 6 საათზე ბიუროს ბინაზე.

— დღეს შესდგება საქ. სოც.-დემ. მ. პარტიის მესამე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა.

— დღეს, 7 ოქტომბერს, საღამოს $5\,^1/_2$ სათ. დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— მეოთხე რაიონული კოლექტივი, დღეს, საღ. 6 საათზე, იწვევს რაიონში მყოფ ყველა მცირე კოლექტივებისა და კოლექტივის წევრთა გაერთიანებულ სხდომას. განსახილველია მეტად მნიშვნელოვანი საკითხები, ამისათვის ყველა უბნების წარმომადგენელთა დასწრება აუცილებელია.

— დღეს, საღ. 7 საათზე, დანიშნულია ვერის გამრთობ ს-ბის გამგეობის სასწრაფო სხდომა.

პროვინციის ქრონიკა.

ქუთაისი. 5 ოქტ. (საკ. კორესპ.) მაზრაში ძარცვა-გლეჯა შესწყდა. ყაჩაღების ბრბო, რომლის სათავეში სირბილაძე და ნინიკაშვილი იდგა, მოსპეს. სირბილაძე მოკლეს, ნინიკაშვილი დაჭერილია და საველე სასამართლოზე არის გადაცემული. სამაზრო ადმინისტრაციამ და განსაკუთრებით სამაზრო მილიციის უფროსმა ახვლედიანმა დიდი ენერგია გამოიჩინა ყაჩაღთა ბრბოს განადგურებაში.

— ქალაქში მეყაბეთა გაფიცვები გრძელდება. ქალაქის გამგეობამ ენერგიული ზომები მიიღო გაფიცვების შესაწყვეტად.

— 5 ოქტ. თანახმად მთავრობის განკარგულებისა ქუთაისის სამხედრო ჰოს-

თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა.

(რუსეთის გარშემო).

(დასასრული).

აქამდე ჩვენ დავახასიათეთ ის პოლიტიკა, რომელიც აწარმოვებდენ გასულ თვეში (აგვისტოში) მთავრობები, ოფიციალური წრეები და მათი პრესა. ახლა შევეხოთ იმ ფაქტს, რომელიც გაგვაცნობს ჩვენ დემოკრატიის აზრს ამავე მწვავე საკითხის შესახებ. როგორ უყურებენ ამ საკითხს მუშათა პარტიები, სოციალისტური პარტიები და საერთოდ დემოკრატია?

უნდა გავიხსენოთ, რომ რუსეთთან დამოკიდებულებაში ბრიტანეთის დემოკრატია წინააღმდეგი იყო რუსეთის საქმეებში ჩარევის და გენ. დენიკინის დახმარებისა, მაგრამ დემოკრატია მაშინ დარაზმულათ არ გამოსულა, როგორც ეს მოხდა გასულ თვეში. ინგლისიდან დაწყებული სოციალისტური პარტიები ფართო აგიტაციას ეწეოდენ რუსეთის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ და მოითხოვდენ რუსეთთან ზავს. და როცა ასეთი ზავი იკვრებოდა რომელიმე ახალი სახელმწიფოს მიერ, მას სიამოვნებით ღებულობდენ. საქართველოს ზავი გაზ. „დეილი ჰერალდის“ ფურცლებზე სიხარულით აღნიშნა. ასევე იყო ლატვიის შესახებაც, ზავის აგიტაციამ ნიადაგი პოვა და კარგი ნაყოფიც გამოიღო ინგლისის დემოკრატიაში, რომელიც უკვე აქტიურათ გამოვიდა მაშინ, როდესაც პოლონეთ-რუსეთის ომი დაიწყო. მიტინგები, მანიფესტაციები, პროტესტები გამართული ლონდონში, მიმართული იყო რუსეთთან ომის წინააღმდეგ. მოითხოვდენ ზავს. კომიტეტი სახელწოდებით „შორს ხელი რუსეთისგან“ დიდ მუშაობას ეწეოდა და მიტინგების რეზოლუციებით ავსებდა პარლამენტს. ომის დაწყების შემდეგ კი პარტიებმა აქტიური ნაბიჯი გადადგეს. მოხდა შეერთებული სხდომა, რომელზეც იყო წარმოდგენილი: ტრედ-იუნიონთა კონგრესის საპარლამენტო კომიტეტი, ბრიტანეთის მუშათა პარტიის აღმასრულებელი კომიტეტი და პარლამენტარული მუშათა პარტია. ამ შეერთებულ კონფერენციაზე არჩეულ იქნა საბჭო, რომელსაც ეწოდა „მოქმედების საბჭო“. ამ „მოქმედების საბჭოში“ შედიოდენ პარლამენტარული მუშათა პარტიის წარმომადგენლები: ჭილიამ ადამსონი, ჯ. კლაინისი, ჯ. რობერტსონი, ჯ. ოგრედი, კოლონელ უეჯვუდი.

ტრედ-იუნიონთა კონგრესის პარლამენტარული კომიტეტის წარმომადგენლები: ჰარი გოსლინი, ა. პორსელი, ა. საიელსი, რ. ბაკერი, მისს მარგალიტა ბანფილდი,

მუშათა პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლები: ა. კამერონი, ფ. გოჯი, კ. კრამპი, რ. უილიამსი, ჯ. ბრომლეი. კოოპტაციით შეიყვანეს მევინი სმაილი, ლანსბერი და სხ.

ამ კომიტეტმა ინახულა 10 აგვისტოს ლოიდ-ჯორჯი და მოახსენა თავისი მოსაზრება რუსეთის საკითხის შესახებ. კომიტეტმა მოითხოვა რუსეთთან ზავის შეკვრა და პოლონეთ-რუსეთის ომის შეჩერება. მოითხოვა ბრიტანეთის მთავრობის პოლიტიკის გამოქვეყნება. ლოიდ ჯორჯმა უპასუხა: პარლამენტში გაეცემა პასუხსო, და ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ლოიდ-ჯორჯის სიტყვა.

ამავე სისტემით მოწყობილ იქნა „მოქმედების საბჭოები“ ინგლისის ყველა სამრეწველო რაიონებში.

„მოქმედების საბჭომ“ გამოსცა მაშინათვე მანიფესტი ერისადმი, რომელშიც ნათქვამია:

„მოქმედების საბჭო“, დაარსებული მუშების მიერ იმ მიზნით, რომ ბოლო მოეღოს დაუსრულებელ ინტრიგებს, ომს და ომის მუქარას, არ დაისვენებს მანამ, სანამ ზავი უზრუნველყოფილი არ იქნება. „მოქმედების საბჭოს“ მანდატია შექმნას აბსოლიუტური გარანტია იმისა, რომ დიდი ბრიტანეთის სამხედრო ძალები არ იქნენ გამოყენებული პოლონეთის, ბარონ ვრანგელის ან სხვა რომელიმე ქვეყნის დასახმარებლად რუსეთის წინააღმდეგ. უნდა გამოწვეულ იქნეს ბრიტანეთის ყველა საზღვაო ძალა, რომელიც მოქმედებს პირდაპირ თუ არა პირდაპირ საბლოკადოთ რუსეთის წინააღმდეგ, უნდა ცნობილ იქნეს რუსეთის საბჭოთა მთავრობა და განმტკიცებულ იქნეს განუსაზღვრელი ვაჭრობა რუსეთთან. პრემიერ მინისტრი და გაზეთები ამბობენ, რომ ომის არავითარი საშიშროება არ არის, რომ მთავრობის პოლიტიკა ყოველთვის იყო ზავის მომხრე. მაშ რატომ არ აცხადებს მთავრობა იმ პირობებს, რომლებზეც შეუძლია მას დაიწყოს მოლაპარაკება რუსეთთან? ეს პირობები უნდა გამოქვეყნდეს...

ზავი ეხლავე, სრული ზავი—რუსეთის ცნობით და სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენით—ეს ჰსურს ხალხს. მოქმედების საბჭო მოუწოდებს მუშებს იმუშაონ ამ მიმართულებით“.

მოქმედების საბჭომ რამოდენჯერმე ინახულა ლოიდ ჯორჯი და ელაპარაკა ამ საკითხზე. დაბოლოს მათ ღია წერილით მიმართეს ლოიდ ჯორჯს და მოსთხოვეს გამოაქვეყნოს ნამდვილი პირობები რუსეთთან ზავის შესაკვრელად. ამავე დროს, 13 აგვისტოს, მოწვეულ იქნა სპეციალური მუშათა კონფერენცია, კონფერენციაზე გამოგზავნილი და წარმოდგენილი იყო: ტრედ-იუნიონებისაგან—689 დელეგატი, მუშათა პარტიისაგან და ტრედ-საბჭოებისაგან—355 დელეგატი, სულ კონფერენციას დაესწრო 1,044 დელეგატი.

თავმჯდომარე ადამსონმა ცხარე სიტყვით მიმართა კონფერენციას და სთქვა, რომ ეს არის ისტორიული კრება. „კონფერენცია შეიკრიბა დიდ ისტორიულ წუთში. ევროპის მდგომარეობა ისეთი მძიმე იყო ამ ათი დღის წინ და ომი ისე ახლოს იყო, რომ ჩვენ გადავსწყვიტეთ გაგვეერთიანებია მთელი ხალხის აზრი, შეგვეკრებია იგი ერთ ფოკუსში. საშიშროება არ აგვცილებია, თუ შევხედავთ ჩვენ საფრანგეთის შოვინისტურ მთავრობის მოქმედებას, რომელსაც მხარს უჭერს ამერიკაც. ამ პირობებში მოქმედების საბჭომ გადასწყვიტა, რომ მოწვეულიყო მთელი ბრიტანეთის მთელი მუშათა კლასის კონფერენცია“. შემდეგ იგი შეეხო ლოიდ ჯორჯის სიტყვას და დაასკვნა: „ჩვენი ხალხი უმადლოდეს ღმერთს, რომ გაერთიანებულმა მუშათა მოძრაობამ ცხადჰყო, რომ ჩვენ არ უნდა გვქონდეს ომი რუსეთთან, რომ ჩვენ არ უნდა დავეთანხმოთ რუსეთის საქმეებში ჩარევას... მე მწამს, რომ კონფერენცია ერთსულოვნათ დაუჭერს მხარს ზავს“. მოქმედების საბჭოს სახელით ილაპარაკა ერნესტ ბევინმა: „თვითეული მუშა გრძნობდა, რომ ჩვენ მივექანებოდით ომისაკენ და რომ ჩვენ უნდა მიგვეღო ყველა ზომა, რათა ეს არ მომხდარიყო. პირველი ნაბიჯი, რომელიც მოქმედების საბჭომ გადადგა, იყო შემდეგი: მან გაგზავნა ომის საწინააღმდეგო დეპეშა საფრანგეთში და იტალიაში. პასუხი მივიღეთ საფრანგეთიდან, ჟუო და კაშენისგან, რომელნიც იწერებიან, რომ მათაც მოაწყვეს ამგვარივე მოქმედების საბჭო და აპირობენ მოაწყონ ადგილობრივი, პროვინციის კომიტეტები, ისე როგორც ინგლისშია. გაეგზავნა დეპეშა ამხანაგებს დანციგში, რომელთაც უარი სთქვეს გადმოეტვირთათ გემიდან იარაღი, პოლონეთისთვის მიტანილი. გაიგზავნა პროტესტი იმის გამო, რომ ბრიტანელი ჯარისკაცები აიძულეს დაეცალათ ეს გემი. შემდეგი ნაბიჯი იყო პრემიერ მინისტრის ნახვა. მას მოვახსენეთ ჩვენი შეხედულება. ჩვენი საბჭოს დეკლარაცია მიმართული იყო არა მარტო პირდაპირი და აშკარა ომის წინააღმდეგ, არამედ არაპირდაპირი და ირიბული დახმარების წინააღმდეგაც. იგი იყო მიმართული არა მარტო პოლონეთისთვის ომის წინააღმდეგ, არამედ გენერალ ვრანგელისთვის დახმარების წინააღმდეგ. ლოიდ ჯორჯმა პასუხი დაიწყო პოლონეთის დაცვით. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ პოლონეთის დამოუკიდებლობა ცნობილია საბჭოთა რუსეთის მიერ. ვინაიდან პრემიერ მინისტრი პოლონეთის დამოუკიდებლობას პოლიტიკის ღერძათ სთვლის, ამიტომ ვინახულეთ რუსეთისა და პოლონეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები. რუსეთმა მისიამ გამოაქვეყნა საზავო პირობები პოლონეთთან, ეს პირობები სავსებით მისაღებია. შემდეგ ვინახულეთ კიდევ ლოიდ ჯორჯი და მოვსთხოვეთ: გამოაქვეყნოს მან ბრიტანეთის პირობები რუსეთთან ზავის შესაკვრელათ. ლოიდ-ჯორჯმა გამოგვიგზავნა წერილი, სადაც იწერება, რომ ამას ჯერ ვერ იზამს, რადგან საშიშია რაიმე ხრიკათ. საფრანგეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს გენ. ვრანგელის საშუალებით. ეს მისი საქმეა, მაგრამ ჩვენ უნდა ვსთქვათ: ევროპას არ შეუძლია იომოს შეერთებულ შტატების ფინანსიურ ინტერესების დასაკმაყოფილებლათ. და დღეს უნდა ითქვას აქ სიტყვა, რომლითაც ზავი უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

ბ. კლაინსმა განმარტა პარლამენტარული პარტიის პოზიცია: იქ არ იყო აზრთა სხვადასხვაობა. ისინი ლაპარაკობდენ და მოქმედებდენ არა მარტო მუშათა მოძრაობისათვის, არამედ მათ ჩამოაყალიბეს ნაციონალური შეხედულება. სახელმწიფო პირებმა შექმნეს ნაციათა ლიგა, რომ დაიცვან ნაციები ომისაგან, ჩვენ კი უნდა შევქმნათ მუშათა მოქმედების ლიგა, რომელიც მიმართული იქნება ომის წინააღმდეგ. ჩვენ უნდა შეუძლებელი გავხადოთ გადაზიდვა-ზარბაზნებისა, სამხედრო მასალისა, ჯარისა, და სხ. დამღუპველ მიზნებისათვის. მხოლოდ ერთი საბუთით ამართლებს ლოიდ ჯორჯი ინგლისის ჩარევას რუსეთ-პოლონეთის ომში. ეს საბუთია პოლონეთისთვის დამოუკიდებლობის დაკარგვის შიში. მაგრამ მუშათა პარტიამ უპასუხა მას პარლამენტში, რომ ყოველი ცნობა, ყოველი საბუთი რუსეთის მხრივ იმას ამტკიცებს, რომ პოლონეთის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია. როდესაც ომი დაიწყო ჩვენ მივმართეთ მთავრობას თხოვნით ჩარეულიყო საქმეში და შეეჩერებინა ომი. მთავრობამ გვიპასუხა, რომ ეს არის ნაციათა ლიგის საქმე. ნაციათა ლიგას თითი არ გაუნძრევია. ამგვარათ, მთავრობამ უარყო დიპლომატიური ჩარევა. ჩვენი მთავრობის პოლიტიკა რუსეთისადმი იყო პოლიტიკა ორაზროვნობისა და ეშმაკობისა და იგი დღემდე უსარგებლო და უშედეგოა...

მუშათა მოძრაობა გაიზარდა, არჩევნებმა გვიჩვენეს მისი ზრდა და ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი ქვეყნის მართვის აღვირი უნდა გამოერთვას იმ ხელებს, რომელნიც მართავს ყალბათ, და გადაეცეს მუშებს (ტაში). და ეს იქნება, თუ მომავალშიც მუშათა მოძრაობა იქნება ისეთივე პოლიტიკურათ გაერთიანებული როგორც არის იგი გაერთიანებული თავის სურვილში ომის წინააღმდეგ (ტაში).

ჯ. ტომასმა (ტრედ-იუნიონთა კონგრესის პარლამენტარული კომიტეტის თავმჯდომარე) კონფერენციას წარუდგინა შემდეგი რეზოლუცია: „კონფერენცია ადასტურებს და ღებულობს სამი ნაციონალური ორგანიზაციის (მუშათა პარტიების) ნაბიჯს მოქმედების საბჭოს შემქმნელად აწინდელ მდგომარეობაში, რომელიც გამოწვეულია მთავრობის პოლიტიკით რუსეთ-პოლონეთის ომის მიმართ. ტომასის აზრით ეს რეზოლუცია გულისხმობს არა მარტო უბრალო გაფიცვას. „ესაა გამოწვევა (ბრძოლა) ქვეყნის მთელი კონსტიტუციისა, (წყობილებისა), (ხანგრძლივი ტაში). უნდა სერიოზულათ შევხედოთ საკითხს. მე არ მსურს, რომ რეზოლუციას ხმა მისცეთ, მარტო იმისთვის, რომ იგი მიმართულია კონსტიტუციის წინააღმდეგ. მას არ სჯერა, რომ ხალხის დაჩაგრულ მასებს სურთ ეს, მაგრამ მას სწამს, რომ ეს მასები დაკავშირებული არიან მუშათა მოძრაობასთან... საფრანგეთი ომში შევიდა, ეს მისი საქმეა. საფრანგეთის ხალხის მოვალეობაა

პიტალი ერობის ხელში გადავიდა. ჰოსპიტალთან ინახება საავადმყოფო ერობის მოსამსახურეთათვის. აქვე გაიხსნა სამაზრო ცენტრალური აფთიაქის საწყობი. (სდს).

ბორჯომი. 4 ოქტ. ბორჯომში არსებულ სახელმწიფოს პირველ სანატორიუმში ავადმყოფთა მიღება შეწყდა. საავადმყოფო ოქტომბრის 15 დაიხურება. შეკითხვებზე ადმინისტრაცია პასუხს არ გასცემს არავის. სანატორიუმის დირექტორი ზანდუკელი. (სდს).

სიღნაღი. 3 ოქტ. დიდმა წვიმებმა დააზიანა ქუჩები. უფრო დაზარალდა ქალაქის ცენტრალური ადგილი. ისეთი ძლიერი წვიმა იყო, რომ დამოკიდებულება სიღნაღსა და ახლო მდებარე სოფლებს შორის შესწყდა. ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქთა კავშირის წინაშე აღმოუჩინოს მას დახმარება ქუჩების შეკეთებაში. (სდს).

უცხოეთი

იტალია.

ლაბრიოლას აზრი იტალიაში მომხდარ ამბების შესახებ.

„გერმანიის საყოველთაო „გაზეთის" რომის კორესპოდენტი ტელეგრაფით გვატყობინებს გაზეთს იმ საუბარს, რომელიც მას ჰქონდა ჯიოლიტის კაბინეტის შრომის მინისტრთან, სოციალისტ-რეფორმისტ ლაბრიოლასთან იტალიაში მომხდარ ლითონზე მომუშავეთა მოძრაობის შესახებ. ლაბრიოლა უარყოფს მოძრაობის პოლიტიკურ ხასიათს, მდგომარეობის გამწვავების გამო პასუხი უნდა აგონ მწარმოებლებმა. მუშების მიერ ქარხნების ხელში ჩაგდების გამო ლაბრიოლამ განაცხადა: „სახელმწიფო დაინტერესებულია მხოლოდ საზოგადოებრივ სიმშვიდის დაცვაში. აქამდე საზოგადოებრივი სიმშვიდე არ დარღვეულა, ყოველ შემთხვევაში იმდენათ მაინც, რომ სახელმწიფო იძულებული ყოფილიყო ჩარეულიყო. ქარხნების ხელში ჩაგდება არის მფლობელობის უფლების დარღვევა; მწარმოებლებს შეუძლიათ მიაღწიონ თავის უფლებების აღდგენას სასამართლოს საშუალებით. შესაძლებელია, რომ ამ შეხედულებამ ისინი გააკვირვოს, მაგრამ დაიხსომეთ შემდეგი: მასიურ მოძრაობას უნდა მივუდგეთ სულ სხვა საზომით, ვიდრე ერთეულ, კერძო შემთხვევებს. მოკვლა ვისიც საზიზღარი ბოროტმოქმედებაა. მასიურ მკვლელობას კი ეძახიან ომს და მოიძებნებიან ისეთი პირები, რომლებიც ამართლებენ ომს. ეხლა იტალიის მოძრაობაში მონაწილეობას იღებენ ასი ათასობით შეკავშირებული მუშები და ამ გვარი მოძრაობა რომ აჯანყების კანონით გავასამართლოთ, ეს შეუძლებელია. საჭიროა აგრეთვე ანგარიში გაეწიოს მორალურ ატმოსფერას, მასიურ ნერვიულობას, რომელიც ომით არის გამოწვეული. ამასთანავე ყველა მუშები შეიარაღებულია. ანკონაში არეულობის დროს მუშებს აღმოუჩნდათ 40 ტყვიის მფრქვეველი. სახელმწიფოს ჩარევა აუცილებლათ გამოიწვევდა სისხლის ღვრას, რომელიც, შესაძლებელია, გადაქცეულიყო სისხლიან რევოლიუციათ, რაც ყოველგვარ პირობებში თავიდან აცილებულ უნდა იქნეს. თუ მართლა მოხდება სოციალისტური გადატრიალება,—მაშინ იგი მოხდეს ისე რომ რაც შეიძლება ნაკლებათ დაზიანდეს კერძო პირთა ინტერესები და არ მოხდეს სისხლის ღვრა".

ლაბრიოლამ შემდეგ შენიშნა, რომ ჯიოლიტის მთავრობა მთლიანათ იმ აზრისაა, რომ იტალიის ბოლშევიზმისაგან გადარჩენის საშუალება იმაში მდგომარეობს, რომ მიეცეს ქვეყანას ისეთი მართველობა, ისეთი დაწესებულებანი, რომლებიც კაპიტალისტური მეურნეობის სოციალისტურათ გარდაქმნის შემდეგ გადაიქცევიან საიმედო დასაყრდენობ წერტილათ. ზარბაზნებით არ შეიძლება იმ მოძრაობის დამარცხება, რომელიც მასებს მოუდის".

ამასთანავე შრომის მინისტრმა გააშუქა კანონ-პროექტი „უმაღლესი შრომის საბჭოს" შესახებ, რომელიც შესაძლებლობას მისცემს „გარდაიქმნეს კერძო წარმოება საერთო შრომის საფუძვლებზე და ჩამოერთვას იგი წინანდელ პატრონს, რომელსაც წარმოება ან ჩამოერთმევა იჯარით, ანდა ჩამოერთმევა შესაფერის საზღაურის მიცემით იმ პირობით კი, რომ მუშები გამოიჩენენ წარმოების გამგებლობის ნიჭს და არ დაზიანდება საზოგადოების ინტერესები".

თუ მესაკუთრეები არ მოისურვებენ თავის უფლებებზე თავის ნებით უარის თქმას, მაშინ ის „შეიძლება აიძულონ და ეს ძალით გააკეთებინონ; საზოგადოების ბედნიერება კერძო პირთა ინტერესებზე მაღლა სდგას. სოციალური გადატრიალება წარმოუდგენელია მოხდეს ეგრეთ წოდებულ „უსამართლობათა" და კერძო პირთა ინტერესებისათვის ზარალის მიყენების გარეშე. ჩვენ უმთავრესათ უნდა ვეცადოთ შევინარჩუნოთ სახელმწიფო, როგორც მთელი, დავიცვათ იგი დანგრევისაგან და თანდათანობით მივცეთ ისეთი მიმართულება სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, რომელიც შეეფერება ახალ აზრებს და ფართო მასების სასიცოცხლო მოთხოვნილებებს. მე იმედი მაქვს, რომ იტალია ამას მიაღწევს".

გაზეთი „საქართველო" და მომარაგების სამინისტრო *)

რატომ მოხდა, რომ თამბაქოს მრეწველობა შესუსტდა საქართველოში? დიდი ომის დასაწყისიდან თამბაქოს დამუშავება ჩვენში დაეცა. თუ რათ ხდებოდა ეს, ყველამ იცის. ევროპის ბაზრის დაკეტვის გამო თანდათან დიდძალი თამბაქო გროვდებოდა, რაც დიდ ზარალს აძლევდა პლანტატორებსაც, ვინაიდან ფასები ეცემოდა. ბევრმა ვერ გაუძლო ასეთ გარემოებას და მეთამბაქოობას თავი მიანება. დიდძალი გამოცდილი მუშა-მეთამბაქოე წავიდა ოსმალეთში ომის გამო. ამ მიზეზებმა ომის დაწყებიდანვე დასცეს თამბაქოს დამუშავების საქმე ჩვენში. ამას კიდევ ზედ ერთოდა ის გარემოება, რომ საჭირო ინვენტარი საოცრად ძვირდებოდა და ბაზარზეც თითქმის არც კი იშოვებოდა, მუშა ხელი კი თანდათან ძვირდებოდა. ასე რომ დამოუკიდებელმა საქართველომ მიიღო მეთამბაქოობა უკვე დაცემული, ხალხი თამბაქოს ვერ ჰყიდდა და სიმინდე პურის დამუშავებაზე გადადიოდა, პლანტაციების სივრცე მცირდებოდა. ასეთი მდგომარეობაში იყო მეთამბაქოობა ჩვენში, როდესაც დამოუკიდებელი საქართველო შეიქნა.

როგორც ზევით ვთქვით, მსოფლიო ბაზარზე თუთუნის ფასი ბოლო ხანებში მაინც ძალზე დაეცა; მეორე მხრით კი პურის და შაქრის ფასები მაღლა იწევს. ასეთი არა-ნორმალური ცვალებადობა იქამდე მივიდა, რომ, თუ უწინ ფუთ თამბაქოში საშუალოთ ფულზე გადაყვანით თუ შეგვეძლოთ 15 ფუთამდე პურის შეძენა, დღეს ევროპის ბაზარზე ფუთ თამბაქოს განაღდებით 3 ფუთს ფქვილსაც კი გაჭირვებით შევიძენთ. შეიძლება ესეც „კოოპერატივის ნოქრების" ბრალი იყოს, ან ერობის სისუსტის? ეგებ „საქართველოს" მესვეურებმა იქონიონ გამბედაობა და ევროპას უკარნახონ საქართველოსთვის ხელსაყრელი ფასები? მაგრამ ვეჭვობთ. ამას ისინი ვერ შესძლებენ, როგორც ვერც შესძლეს მათმა ამხანაგებმა, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ თამბაქოს და მატყლის რეალიზაცია ევროპის ბაზრებზე. ასე რომ დღეს პურის მოყვანა უფრო ხელსაყრელია, ვიდრე თამბაქოსი, რასაც კარგათ ანგარიშობს მიწის მუშა და სიმინდის დათესვას ცდილობს სწორეთ იმ ადგილზე, სადაც უწინ თამბაქო მოჰყავდა. მეორე გარემოება, რომელიც მეთამბაქოობას ხელს უშლის, არის ის, რომ სოხუმის ოლქი და მასთან მოსაზღვრე ადგილების მდგომარეობა ყოველ დღე იცვლებოდა. ბოლშევიზმი, დენიკინშჩინა, განთავისუფლების კომიტეტი—აი ის ეტაპები და ძალები, რომელნიც ებრძოდნენ და ებრძვიან ეხლაც ერთმანეთს მის საზღვრებთან. თვით სოხუმის ოლქიც განიცდის ამ ბრძოლის სიმწვავეს და, ცხადია, თუ ასეთი გარემოება როგორი ხელის შემშლელია კულტურულ მეურნეობისათვის, ამაში „საქართველოც" დაგვეთანხმება. აბა რა კომერციის წარმოება შეიძლება იქ, სადაც არავინ იცის დანამდვილებით—ბოლშევიკები იქნებიან გაბატონებული თუ დენიკინი, სადაც ყველა იმ მოლოდინშია, რომ ჯარისკაცების ქუსლი გაივლის მის პლანტაციებზე და თამბაქოზე დახარჯული ფული და შრომა მას დაეკარგება?

ამ გარემოებას ზედ დაერთო ისიც, რომ დარჩენილი ოსმალები, ბერძნები, სომხები და სხვა უცხო ელემენტები, რომელნიც თამბაქოს კულტურას მისდევდნენ, წავიდნენ თავის სამშობლოსაკენ. მათი დაჭერა დაკავება და მიწაზე მიბმა კი ვერ შესძლო მთავრობამ, თუმცა ბევრს ეცადა. გარდა ყველა ამისა, თამბაქო მოითხოვს განსაკუთრებულ ცოდნას, საკმაო კაპიტალს, ინვენტარს და სხ. იმ პირობათა გამო, რომელნიც არსებობენ საერთოდ ევროპაში და განსაკუთრებით ჩვენში, ეს ყოველივე არ ნაზღაურდება, არ იძლევა იმდენს, რასაც იძლევა პური თუ სიმინდი.

მეთამბაქოობის ასეთი შემცირება სავალალოა ჩვენთვის და ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოექცეს სახელმწიფო და ექცევა კიდევაც.

როგორი ზომებია მიღებული მომარაგების სამინისტროს მიერ ამ არა—სასურველ პირობებთან საბრძოლველათ? იმ დროს, როდესაც „საქართველოს" მესვეურები დემაგოგიით ქვეყანას აყრუებენ, მომარაგების სამინისტრომ მოაწყო მეთამბაქოეთა კოოპერატივები, რომლებსაც გადასცა საკმაო თანხა, ინვენტარის, საჭირო საგნების შესაძენათ და პლანტატორთათვის სესხათ მისაცემათ. შეძლების და გვარათ პირველ რიგში უზრუნველყო მათ საჭირო მასალას და ფულსაც, რასაც თვითონ პლანტატორები დაამტკიცებენ. ყოველსავე დახმარებას უწევს მათ სამინისტრო, რათა მეთამბაქოობა გამოიყვანოს კრიზისიდან და მდგომარეობის და მიხედვით დააყენოს ის წარმატების და აყვავების გზაზე. ეს წამოსროლილი ფრაზები კი არ არის, როგორც ამას „საქართველო" ჩივის, არამედ ეს რეალი ფაქტია, რომლის ნაყოფი მალე თვალსაჩინო იქნება ყველასათვის.

ეხლა გადავიდეთ კითხვაზე, თუ როგორ და რა პირობებში ხდებოდა თამბაქოს რეალიზაცია ჩვენში და უცხოეთში. როგორი იყო საერთოდ თამბაქოს ბაზრის მდგომარეობა? ვის ჰქონდა მინდობილი ეს საქმე და ვინ რა გააკეთა, ან რის გაკეთება შესძლო?

სამინისტრომ თვითონ უშუამავლოთ გაანაღდა 160,000 ფუთამდე თამბაქო და საშუალოთ აიღო ფუთზე ფრანკო სოხუმი $3^1/_2$ გირვანქა სტერლინგამდე. უკანასკნელ ხანებში ივლისის დამლევს და აგვისტოს დასაწყისში სამინისტრომ რეალიზაცია უყო 34000 ფუთ თამბაქოს. ფუთი 3 გირვანქა სტერლინგათ ფრანკო სოხუმი. ეს მოახერხა იმ ხალხმა, რომელთაც „არც თვალი, არც ცოდნა და არც ფეხები" გააჩნიათ, რომ საქმეს გაუძღვნენ. უკანასკნელი განაღდება თამბაქოსი 3 გირვანქა სტერლინგათ მოხდა ისეთ დროს, როდესაც ლონდონის ბაზარზე ფასი 2 გირვანქამდე ძლივს აღწევდა და კიდევ ყოველ დღე ეცემოდა. ეს კარგათ იციან „კოსმოსის" მესვეურებმა და მასთან დაახლოვებულმა მათ რწმუნებულ ვექილებმაც კი. აი ასეთ ფასებში „განაღდა" საგრძნობი რაოდენობა თამბაქოსი ერობის სამინისტრომ.

ამავე დროს კი რა ქნეს სამინისტროს რწმუნებულებმა? სამინისტრომ ევროპაში თამბაქოს და მატყლის სარეალიზაციოთ გაგზავნა ისეთი ხალხი, როგორიც არიან თვით „საქართველოსთან" დაახლოვებული პიროვნებანი, რომელთა ცოდნაში განსწავლაში თუ უნარში „საქართველოს" ეჭვიც კი არ ეპარება. ეს პიროვნებანი არიან: ა. მ. ხოშტარია, ა. ნ. ქავთარაძე, ტ. მარგველაშვილი, ვეშაპიძე და სხვანი. ამ ხალხს „საქართველო" იცნობს, როგორც თავის საუკეთესო ამხანაგთ, ზოგი მათგანი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტების თავმჯდომარეთაც კი ყოფილან. მათ კომერციულ ნიჭზე, ცოდნაზე, უნარზე და განსწავლულ ეკონომისტობაზე არა ერთხელ გვსმენია ბევრი რამ თვით „საქართველოს" ახლო მდგომ ხალხისაგან. და ეხლა ვიკითხოთ, რა გააკეთეს მათ? როგორი რეალიზაცია უყვეს ჩვენს თამბაქოს და მატყლს?

ა. მ. ხოშტარიამ წაიღო 50,000 ფუთი თამბაქო და იმ დროს, როდესაც „კოოპერატივების ყოფილი ნოქრები" სოხუმში ფუთ თამბაქოს ანაღდებდნენ 3—4 გირვანქა სტერლინგათ, ა. მ. ხოშტარიამ ინგლისში ჩატანილი თამბაქო 2—3 გირვანქა სტერლინგათაც კი ვერ გაასაღა და ეს თამბაქო დღესაც საწყობებში აწყვია ინგლისში გაუნაღდებელი, მართლაც ახალ-ახალი ხარჯები ზედ ეკეცება და თამბაქოს ფასი კი ყოველ დღიურათ ეცემა. ამავე დროს კი ა. მ. ხოშტარია იტყობინებოდა,—გემებს და დიდძალ ავტომობილებს ვიძენო; მაგრამ როგორც თვით მის მეგობრებს „საქართველოს" მესვეურებს მოეხსენება, ა. მ. ხოშტარიას არც გემები და არც ავტომობილები დღემდე არ შეუძენია და თამბაქოც არ გაუნაღდებია.

თუ ვის გამოუჩენია მეტი ფხა ამ შემთხვევაში, ამის გადაწყვეტა თვით „საქართველოს" მესვეურებისათვის მიგვინდვია.

რა ქნეს ეხლა სხვა თქვენმა ამხანაგებმა,—ა. ლ. ქავთარაძემ, ტ. მარგველაშვილმა, ვეშაპიძემ? მათ თქვენ ხომ კარგათ იცნობთ, როგორც ცნობილ კომერსანტებს და ეკონომისტებს? თვით მათ შეეკითხეთ და გიპასუხონ ამ კითხვაზე. როგორ გაანაღდეს სამინისტროდან წაღებული 24,000 ფუთი თამბაქო და მატყლი და ინგლისში ჩატანილი? მათ ინგლისში ჩაზიდული საქონელი $1^1/_2$—2 გირვანქა სტერლინგათაც კი ვერ გაანაღდეს, და ეს იმ დროს, როდესაც გაცილებით მეტი ფასები იყო, ვიდრე ამ ჟამათ არის. მთელი თვეები თამბაქო დაწყობილი ჰქონდათ საწყობებში. ვერაფერი მოუხერხეს და რამოდენიმე თვის შემდეგ უკან ჩამოზრძანდნენ. ჰკითხეთ მათ, თუ გამოუცდელი ერობა 3—4 გირვანქათ სოხუმში თამბაქოს ანაღდებდა,—რათ მოუვიდათ ისეთ კომერსანტ-ეკონომისტებს, როგორიც ბრძანდებიან თქვენი ამხანაგები—ა. ლ. ქავთარაძე და ტიტე მარგველაშვილი, რომ ინგლისში ჩაზიდული საქონელი 2 გირვანქა სტერლინგათაც კი ვერ გაანაღდეს? ჰკითხეთ ამის მიზეზები ტ. მარგველაშვილს და ა. ქავთარაძეს და თუ ისინი არ გიპასუხებენ, მაშინ ჩვენ მოგართმევთ იმ მოხსენების პირს, რომელიც წარმოდგენილი აქვს ტ. მარგველაშვილს მომარაგების მინისტრისადმი. ეგების ამ მოხსენებამ ბევრი ვინმე გააწითლოს?

ენი.

(შემდეგი იქნება).

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელ. მუშა მოსამსახურეთა მესამე რიგითი ყრილობა.

3 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე **ურატაძის** თავმჯდომარეობით იხსნება საზეიმო სხდომა, რომელსაც ესწრებიან საპატიო თავმჯდომარენი **ქ. კაუცკი, ქ-ნი ლუიზა კაუცკისა, დე-ბრიუკერი, ნოე რამიშვილი და ალ. ლომთათიძე.** ქ. კაუცკის შემოსვლას ყრილობა დაუსრულებელ ტაშის კვრით და ვაშას ძახილით ეგებება. თავმჯდომარე, მიესალმება რა მოწვეულ სტუმრებს, აცნობს, რომ ისინი არიან მოწვეული საპატიო თავმჯდომარეთ. სიტყვას ღებულობს ქ. კაუცკი, რომელიც მიესალმება ყრილობას, მადლობას უძღვნის მისი და მეუღლის საპატიო თავმჯდომარეებათ მოწვევისათვის და აცნობებს, რომ მისი მეუღლე დაახლოვებული არის ფ. და ტ. მოსამსახურეებთან და გერმანიაში მომხდარ რევოლიუციის დროს სათავეში იდგა მათ და ხელმძღვანელობდა. აღნიშნავს საქართ. მუშ. კლასის მუშაობის სიძნელეს არსებულ პირობებში, როდესაც მას უხდება შენება და ხელმძღვანელობა სახელმწიფოსი, მაგრამ დემოკრატიის სათავეში ყოფნა მიაჩნია მისაღებად ხალხისათვის მომავალი ბედნიერების დასამყარებლად, რადგანაც მისი ინტერესები ეგუება ერის და ხალხის ინტერესებს. ინტერესები, ამბობს კაუცკი, არის ორგვარი: წარმავალი—დღიური და მომავალი—მუდმივი. საქართველოს შეგნებული მუშათა კლასი არჩევს მათ ერთმანეთისაგან და სახელმწიფოს შენების დროს ხელმძღვანელობს მეორე სამარადისო ინტერესებით, რითაც მტკიცე საფუძველს უყრის მომავალ ბედნიერებას—სოციალიზმის დამყარებას. შემდეგ ეხება საბჭოთა რუსეთში გამეფებულ უმცირესობის დიქტატურას, ახასიათებს მას, როგორც გამომწვევს სამოქალაქო ომისა და მუშათა კლასის კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩაგდებისა. დასასრულ უსურვებს ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას. კაუცკის შემდეგ ყრილობას ესალმება დე-ბრიუკერი, მადლობას უძღვნის, რომ ჟორდანიასა და კაუცკისთან ერთად არჩეულ იქნა საპატიო თავმჯდომარეთ და განაგრძობს:—დიდი არის თქვენი მიზანი, რომლის განხორციელებაში ხელს გიშლიან ჩრდილოეთიდან კომუნიზმი, მეორე მხრით,—ქემალ-ფაშა, ამოფარებული სოციალიზმის დროშის ქვეშ, მაგრამ ყველაზე დიდი მტერი არის—სიღატაკე, რის დაძლევას შესძლებთ, თუ ბუნებით მდიდარ თქვენს ქვეყანაში, როგორც მეურნეობაში, ისე წარმოებაში შემოღებული იქნება თანამედროვე ტეხნიკური მეთოდებით მუშაობა. თქვენ მისიას, თქვენ მუშაობას, დემოკრატიული წესწყობილების შექმნით, სოციალიზმისაკენ წინსვლას აქვს საერთაშორისო საკაცობრიო ხასიათი და მნიშვნელობა, რაც ჩემი ღრმა რწმენით, თქვენ ყოველთვის გახსოვდათ და გემახსოვრებათ. დასასრულ უსურვებს ფ. ტ. პროლეტარიატის წარმომადგენელთა ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას. თავმჯდომარე მადლობას უცხადებს მოწვეულ სტუმრებს საპატიო თავმჯდომარეობის ასეთი სიამოვნებით მიღების გამო ყრილობის სახელით. შემდეგ მომენტზე მოხსენებას აკეთებს ალ. ლომთათიძე, რომელიც, სხვათა შორის, ეხება კოლბის ნოტას, როგორც დამახასიათებელ ნიმუშს ოფიციალური ევროპის პოლიტიკისას და არა ოფიციალური ევროპის, [illegible] ძლიერს, რომელიც [illegible] საქართველოს სამართლიან მოთხოვნილებებს. ახასიათებს აგრეთვე სოციალისტურ დელეგაციის მოსვლას საქართველოში, როგორც არაჩვეულებრივ მოვლენას ისტორიაში. ეს პირველი მაგალითი არის, ამბობს მომხსენებელი, რომ სოციალისტური დელეგაცია ლეგალურათ მიდიოდეს სახელმწიფოში და მთავრობა უხსნიდეს მას მთელ თავის მუშაობას, სახელმწიფოს მდგომარეობას და სთხოვდეს მათ შეფასებას მუშაობისას, რომლებმაც მთავარი პოლიტიკური ხაზი წარმოებული მთავრობის მიერ, მოიწონეს. დასასრულ მადლობას უცხადებს ყრილობას საპატიო თავმჯდომარეთ არჩევისათვის და იმედს გამოსთქვამს, რომ კერძოთ ფ.-ტ. და საერთოთ საქართველოს პროლეტარიატის დახმარებით მთავრობა და დამფუძნებელი კრება შესძლებენ მათზე დავალებულ მოვალეობის აღსრულებას. ყრილობამ, მოიწონა რა მოხსენება აღუთქვა ყოველმხრივი დახმარება. თავმჯდომარე ყრილობის სახელით მადლობას უცხადებს მომხსენებელს. სხდომა დაიხურა ღამის ათ საათზე.

კლემენტი.

ს.-დ. პარტიაში

ნავთლუღი. 30 სექ. შესდგა მე 7-დე რაიონული კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა ამხ. გვიმბრაძის თავმჯდომარეობით. დღიურ წეს-რიგში იყო შემდეგი კითხვები: 1. რკინის გზის „იაჩეიკა"; 2. მდივნის განცხადება; 3. ამხ. რაზმაძის განცხადება; 4. ამხ. ფანჯავაძის განცხადება. მეორე კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. სარჯველაძე, რომელიც აღნიშნავს, რკინის გზაზე პარტიულ მუშაობის შენელებას და მოითხოვს, რომ მოწინავე ამხანაგებმა მიიღონ ზომები პარტიული მუშაობის აღსადგენათ. კითხვამ კამათი გამოიწვია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ყველა ამხანაგებმა. გადაწყდა მომავალ სხდომაზედ აუცილებლად მოწვეულ იქნას „იაჩეიკის" პრეზიდიუმის წევრები და გამოინახოს ზომები მუშაობის გასაცხოველებლათ. მდივანს მოემატა თვეში 1500 მანეთი, აგრეთვე მიღებულ იქნა ზომები მისი სურსათით უზრუნველსაყოფად. ამხ. გვიმბრაძე აცხადებს, რომ მთ. შტაბის კულტურული განმანათლებელი განყ. უფროსმა ამხ. ანანია სალუქვაძემ დაათვალიერა კლუბის შენობა და სრული იმედი არის, რომ კითხვა ჩვენდა სასარგებლოდ გადაწყდება. ამხ. რაზმაძის განცხადების გამო, რკ. გზის უფროსთან მოსალაპარაკებლათ არჩეულ იქნენ ამხ. სარჯველაძე და გვიმბრაძე. სადგურის უფროსის ამხ. ფანჯავაძის მოხსენების შემდეგ არჩეულ იქნა სპეციალური კომისია, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგენს გარჩეულ საქმეს.

კომისიაში არჩეულ იქნენ: ლორია, ხერხეულიძე და გვიმბრაძე.

პ. ლეხელი.

უხუთის თემი (ქუთ. მაზრა). ეს თემი სხვა თემებთან შედარებით ძლიერ ჩამორჩენილია სხვა თემებთან. ამ ახლო წარსულში ადგილობრივი მოწინავე ამხანაგების წყალობით აქ დაარსდა პარტიული კოლექტივი, რომელშიაც არჩეული არიან შემდეგი პირები: 1) პარმენ როხვაძე, 2) სიმონ ხელაძე, 3) ილარიონ ბიბიჩაძე, 4) კირილე ჯანელიძე და სხ.

ბარნაბა ხურციძე.

ბორჯომი. 29 სექტემბერს, შესდგა ს. ს. დ. მ. პ. ბორჯომის რაიონის კოლექტივის სხდომა, გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: მოხსენებები ადგილ-

მიიღოს მიზანშეწონილი ზომები, საფრანგეთის იმპერიალისტურმა პოლიტიკამ ნახა თავისი გამოხატულება ვერსალის ზავში, რომლისგანაც არის ამდენი დაბრკოლება-გართულება და უბედურება... როგორიც არ უნდა იყოს საფრანგეთის მისწრაფება, ჩვენ უნდა დავუტოვოთ იგი საფრანგეთის მუშებს, რათა მათ გადასწყვიტონ თავისი დამოკიდებულება მისდამი. მაგრამ რამდენადაც ეს ბრიტანეთის მუშებს ეხება, ისინი ნებას არ მისცემენ ჩვენს ქვეყანას დაუშვას გრძური ომი რუსეთთან (ტაში).

ა. კამერონი (მუშათა პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე) მხარს უჭერს რეზოლიუციას. რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთსულოვნათ და ერთხმათ დიდი ტაშის კვრით და „ინტერნაციონალის" სიმღერით.

შემდეგ ბ. ჰატჩენსონმა შეიტანა ასეთი რეზოლიუცია:

„ტრედ-იუნიონთა და მუშათა წარმომადგენლების კონფერენცია კმაყოფილებით მიესალმება რუსეთის მთავრობის დეკლარაციას, რომელიც დაფუძნებულია პოლონეთს სრულ დამოუკიდებლობაზე... და იღებს რა მხედველობაში საერთაშორისო მდგომარეობის სირთულე-სიმძიმეს, თავის თავს აკისრებს ყოველივე ზომებით წინააღმდეგობა გაუწიოს საბჭოთა რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ ჩარევას. ამისდაგვარათ მოქმედების საბჭო ვალდებული ხდება განაგრძოს თავისი მუშაობა, სანამ უზრუნველყოფილი არ იქნება შემდეგი:

„1) აბსოლიუტური გარანტია, რომ დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები არ მოხმარდება პოლონეთის, ბარონ ვრანგელის ან სხვა რომელიმე ქვეყნის დასახმარებლათ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

2) გამოწვევა ბრიტანეთის ყველა საზღვაო ძალებისა, რომელიც მოქმედებს პირდაპირ ან არაპირდაპირ რუსეთის საბლოკადოთ.

3) რუსეთის საბჭოთა მთავრობის ცნობა და დამყარება პირდაპირი ვაჭრობისა და კომერციულ დამოკიდებულების დიდ ბრიტანეთსა და რუსეთს შორის.

კონფერენცია უარჰყოფს ყოველგვარ კავშირს დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის ან სხვა რომელიმე ქვეყანასთან, რომელიც დახმარებას გაუწევს ვრანგელს, პოლონეთს ან ამუნიციის მიწოდებით ან სხვა სამხედრო მასალების მიცემით საბჭოთა რუსეთზე თავდასასხმელათ.

კონფერენცია ნებას აძლევს „მოქმედების საბჭოს" პოლიტიკისათვის საჭირო მომენტში კვლავ მოიწვიოს აღმასრულებელ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რათა სწრაფი და ენერგიული მუშაობით მოსპონ საიდუმლო ვაჭრობა და დიპლომატია და მიაღწიონ მას, რომ დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა ეთანხმებოდეს კარგათ ცნობილ სურვილებს ხალხისას ომისა და ომის დაუსრულებელ შიშის დასაბოლოვებლათ".

ჰატჩენსონმა სთქვა: ჩვენ ჯერ არ გვაქვს სურვილი ჩავერიოთ საფრანგეთის საქმეებში, მაგრამ ჩვენ გვაქვს უფლება ვსთხოვოთ საფრანგეთის მუშებს ხელი-ხელ ჩაკიდებული იარონ ბრიტანეთის მუშებთან ერთად. მაგრამ თუ საფრანგეთს არ სურს ზავი რუსეთთან, მან ხელი არ უნდა შეუშალოს ბრიტანეთს შეკრას ზავი.

ჯ. ბოუენი მხარს უჭერს რეზოლიუციას.

ბ. ტომ შოუმ განაცხადა, რომ იგი სრულიად ეთანხმება რეზოლიუციის თვითეულ სიტყვას. მაგრამ არ ვეთანხმები იმას, თითქოს ის, რაც განცხადებულია, იყოს კონსტიტუციის შენგრევა. თუ ჩვენი კონსტიტუცია რაიმეს ნიშნავს, იგი ნიშნავს მას, რომ ჩვენი ქვეყნის ქალსა და კაცს უფლება აქვს გადასწყვიტოს თავისი პოლიტიკა, და პოლიტიკა, რომელის მიხედვით იყო ეს მთავრობა, მოითხოვდა ომის დასრულებას. მთელი ხალხი, სულ მცირე გამონაკლისით, ეწინააღმდეგება რუსეთთან ომს. პოლონეთი გრძურათ მოიქცა, როდესაც ომი დაიწყო ტერიტორიალური მოგების გულისთვის. ნაციათა ლიგამ ხელი არ შეუშალა მას მაშინ, და როდესაც ბოლშევიკებმა გამარჯვება მოიპოვეს, მაშინ ყვირილი ასტეხეს. მაგრამ ეხლა არის ახალი მოძრაობის დასაწყისი და მან უნდა მიგვიყვანოს ნაციათა ნამდვილ ლიგამდე... მე არ მომწონს ბოლშევიკების სისტემა, მაგრამ პოლონეთის—საკითხში მათ იმოქმედეს უფრო გულახდილათ, ვინემ ეს ქნა ჩვენმა მთავრობამ...

რობერტ უილიამსი და რობერტ სმაილსი ეხებიან ამ მდგომარეობას. სმაილსი თანახმაა, რომ არ ჩაერიონ საფრანგეთის საქმეში: „საფრანგეთს არ შეუძლია წარმატებით აწარმოოს ომი თუ არ დაეხმარა ინგლისი. და ჩვენ არ შევუშლიდით საფრანგეთს, რომ ასეთ დახმარებაზე უარი უთხრან. ვრანგელი უახლოვდება იმ ხაზს, სადაც იგი ეცდება მოსწყვიტოს რუსეთს ნახშირის რაიონა და საფრანგეთი ეხმარება მას. და თუ ეს მოხდა, უფრო დიდი ჩარევა იქნება საფრანგეთის საქმეებში, თუ მას მოვუჭრით და არ მივსცემთ ინგლისურ ნახშირს. განა იქნებოდა ეს არა-კეთილი აქტი მაღაროს მუშებისა და რკინის გზის მუშების მხრივ? ვიმედოვნებ, რომ საფრანგეთს ამ შემთხვევაში საქმე ექნება ფრანგ მუშებთან. მაღაროს მთხრელთა ინტერნაციონალურმა კონგრესმა გამოიტანა რეზოლიუცია: შეუწყდეს ნახშირის მიწოდება იმ ერს, ვინც უსამართლო ომს დაიწყებს. მე მივმართავ საფრანგეთის მუშებს, რათა მათ აასრულონ ეს დაპირება". (ტაში).

გოსლინგის წინადადებით უნდა შესდგეს სპეციალური ფონდი საბჭოს მოქმედების ხარჯებისათვის. რეზოლიუცია ერთხმათ იქნა მიღებული. კონფერენცია დასრულდა „ინტერნაციონალის" სიმღერით.

სოციალისტურ გაზეთების გარდა, დანარჩენმა ყველა გაზეთმა განგაში ასტეხეს ამ საბჭოს დაარსების გამო. მოქმედების საბჭოს ბრალს სდებენ არა-კონსტიტუციონალობაში. ამის გარშემო პარლამენტშიაც იყო კამათი, მაგრამ საბჭო მაინც განაგრძობს თავის მუშაობას, რადგან თავის თავს სთვლის ერის აზრის გამომხატველად. 17 აგვისტოს „მოქმედების საბჭოს" წარმომადგენლები ადამსონი და გოსლინი ჩავიდნენ პარიზში სოციალისტურ პარტიებთან მოსალაპარაკებლად. ისინი მიიღო ჟუომ—საფრანგეთის მუშათა გენერალური კონფედერაციის უფროსმა მდივანმა. ისინი მოელაპარაკნენ ლორეს და ლაპიერს, მაგრამ მათ თავს დაესხნენ საფრანგეთის პოლიციის წარმომადგენლები და წინადადება მისცეს ინგლისელებს 24 საათში დაეტოვებიათ საფრანგეთი. დელეგატებმა მაინც მოახერხეს კაშენისა და ლანდრის ნახვა.

„დეილი ტელეგრაფის" ამერიკელი კორესპოდენტი იწერებოდა: „შეერთებულ შტატებში ისე, როგორც ყველგან არის მუშათა ელემენტები, რომელნიც იმუქრებიან საერთო გაფიცვით, თუ მთავრობა დაიწყებს ომს რუსეთის წინააღმდეგ".

გერმანიის მუშებმა ყველაზე ადრე განაცხადეს, რომ ისინი არ გაუშვებენ თავის ტერიტორიაზე არავითარ მასალას პოლონეთისთვის. და მართლაც იყო შემთხვევა, როდესაც მათ არ გაუშვეს იარაღი.

10 აგვისტოს ბერლინში მოხდა მრავალი მანიფესტაცია მუშებისა ომის წინააღმდეგ.

ჩეხო-სლოვაკების ტრედ-იუნიონების ლიგამ გამოუშვა მანიფესტი ომის წინააღმდეგ და მოუწოდა მუშებს არ გაატარონ იარაღი.

ასეთი იყო ფაქტიური მდგომარეობა 20 აგვისტომდე.

მკითხველს ვსთხოვთ, ამ ფაქტიური მასალის გაცნობის შემდეგ, მოგვცეს ნება ზოგიერთი ზოგადი ხაზები გავავლოთ და მოკლეთ დავახასიათოთ თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა.

რუსეთის საკითხში ყველა კარგათ ხედავდა იმ მოლოდინებელ ფაქტს, რომ ურუსეთოდ არ შეიძლება იქნეს დამყარებული ევროპის მშვიდობიანობა. ანტანტის პირველი ცდა იყო რუსეთის საქმეებში იარაღის ჩარევით მშვიდობიანობის გზაზე გამოეყვანა იგი. მაგრამ ანტანტის პოლიტიკა ბეცი გამოდგა და ეს სიბეცე კიდევ უფრო გართულდა დენიკინის კონტრ-რევოლიუციონურმა სულის სწრაფვამ. ასეთი პოლიტიკის დამარცხების შემდეგ, ანტანტა თანახმა გახდა რუსეთთან საზავო მოლაპარაკება დაეწყო. ინგლისი, საფრანგეთი, იტალია თანახმა იყვნენ მოეწვიათ ლონდონის კონფერენცია, სადაც ბოლშევიკებთან ზავი უნდა შეკრულიყო. ამავე დროს ანტანტის დემოკრატია დაჟინებით მოითხოვდა ზავს. კაცს ეჩვენებოდა თითქოს მთელი ანტანტა, როგორც მმართველი, ისე ხალხი ერთსულოვანი იყო რუსეთის ზავისადმი მიდრეკილებაში. ისე ჩანდა, თითქოს გამონახულია უკვე საერთო პლატფორმა და საერთო ხაზი ბოლშევიკების მოსალაპარაკებლათ ევროპასთან და რუსეთის განაპირა ქვეყნებთან ზავის შესაკვრელათ. ასეთი ხასიათის იყო ლოიდ ჯორჯის განცხადებაც. მაგრამ 10 აგვისტოს მოხდა „რაღაც", რამაც პოლიტიკა შეატრიალა და ერთის შეხედვით ანტანტის გაერთიანებული წრე გაარღვია. საფრანგეთმა ცნო ვრანგელი. ამერიკამ უარყო ბოლშევიკური მთავრობის ცნობა და მასთან ზავზე ლაპარაკი მთელი ევროპისათვის. ლოიდ ჯორჯი კი ისევ თავის პოზიციაზე დარჩა. მაშასადამე, საფრანგეთი დაუბრუნდა ისევ ძველ პოლიტიკას. იტალია ლოიდ ჯორჯის პოლიტიკასთან ერთად მიდის. რათ მოხდა ასეთი ცვლა? ამის შესახებ ანტანტის პრესა არაფერს ამბობს და არც ლოიდ ჯორჯს უთქვამს რამე ამის შესახებ პარლამენტში. უბრალო შეხედვით ანტანტის პოლიტიკა შეირყა. მილერანის და ლოიდ ჯორჯის პოლიტიკური ხაზები ერთი მეორეს ასცდა. საფრანგეთი გადავიდა შეტევის პოლიტიკაზე. ინგლისი განაგრძობს მოცდის პოლიტიკას. ვლ. ბურცევს ჰგონია, რომ გაიმარჯვებს საფრანგეთის პოლიტიკამ, შეტევის გზამ და გაიმარჯვებს იგი, დასცემს იგი ბოლშევიზმს. ინგლისი უარს ამბობს რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევაზე, ამერიკა თუმცა არ სცნობს ბოლშევიკურ მთავრობას, მაგრამ მაინც უარს ამბობს მის შინაურ საქმეებში ჩარევაზე და მოელის, რომ რუსეთის ხალხი თვითონ გაუსწორდება საბჭოთა მთავრობას.

მაშასადამე, რუსეთის სამოქალაქო ბრძოლის ველზე ერთი მხრივ სდგას წითელი არმია და მეორე მხრივ ვრანგელი, საფრანგეთის მიერ ზურგ გამაგრებული.

რომელი პოლიტიკა გაიმარჯვებს? უნებურათ ისმის ეს საკითხი და გსურთ უპასუხოთ მას; მაგრამ ეს პასუხი იქნებოდა მხოლოდ მარჩიელობა,—და პოლიტიკური მარჩიელობა ხელსაყრელი არაა. უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ დემოკრატიის მიერ ზავის მოთხოვნა საერთო და საყოველთაოა. ზავს მოითხოვს ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ამერიკის და სხვა ქვეყნების მუშათა კლასები და საერთოდ დემოკრატია. მაგრამ ეს მოთხოვნილება ზოგან სუსტათ გაისმის, ზოგან კი მტკიცე ხმა და მოქმედება სჩანს. ამ მხრივ ინგლისის დემოკრატია ყველაზე უფრო წინა სდგას და, როგორც დავახასიათეთ, აქტიურათ მოქმედებს და ემოქმედებს.

ევროპა დღეს ცეცხლის მფრქვეველ მთაზეა, მიწის გუგუნი გაისმის, მაგრამ აფეთქებს თუ არა მთა ახლობელ დღეებში, ეს პრობლემაა. ადრე თუ გვიან აფეთქებს უეჭველათ. დღესვე კი ფაქტი ისაა, რომ ევროპის დემოკრატიას არა სურს ომი, სურს ზავი. ევროპის ყველა სახელმწიფო ლაპარაკობს ზავზე, მაგრამ ამ ზავისადმი საფრანგეთი მიდის იარაღით, ინგლისი ზეთის ხილის შტოთი და ამერიკა კი იმედოვნებს, რომ რუსეთი თვით განთავისუფლდება და შემოვა საერთაშორისო ოჯახში სამართლიანობისა და პატიოსნების დასაცავათ.

და ყველა ეს მოწმობს ერთს, რომ დიდი, ღრმა ცვლილებების წინაშე დგას ევროპის საზოგადოებრიობა. ეს ძირითადი ცვლილებები მაინც მოხდება, რომელმა გზამაც უნდა გაიმარჯვოს ამ ხანათ.

ვიქტორ ნოზაძე.

---

*) იხ. „ერთობა" № 226.

ბიდან, 2) მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის არჩევნების შესახებ, 3) ამხ. ვიქ. ღლონტის მოხსენება.

კოლექტივის პრეზიდიუმიდან მოხსენებას უკეთებს კ. შახნაზაროვი. ის აღნიშნავს, რომ პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე დაადგინა 1) ყოველ კოლექტივის კრებაზე უნდა აირჩეს საგანგებო ამხანაგი, რომელიც მოხსენებას გააკეთებს კოლექტივის დადგენილებებს ყველა იმ ძირითად ორგანიზაციებში, საიდანაც წარმომადგენლები არ დაესწრებიან კოლექტივის კრებას.

2) ძველი კოლექტივის ანგარიშების შესახებ, კოლექტივმა დაადგინა, მიეცეს წინადადება ყოფილ ბორჯომის სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარე ნ. ნასიძეს, რომ მან გამოარკვიოს რაოდენობა ბორჯომის სახელმწიფო მამულის სამმართველოში დარჩენილი ფულებისა და გადასცეს, ვისაც ეკუთვნის.

3) გ. ბასილაშვილის საკითხის შესახებ კოლექტივმა დაადგინა, დაევალოს პრეზიდიუმს გამოიტანოს ცეკადან პარტიული სასამართლოს დადგენილების ასლი განსახილველათ საკონტროლო კომისიაში.

რკინის გზის ორგანიზაციიდან მოხსენებას აკეთებს ა. ჩიხლაძე, ის აღნიშნავს, რომ ძირითად ორგანიზაციაში მუშაობა ნორმალურათ მიმდინარეობს.

ახალდაბის ორგანიზაციიდან მოხსენებას აკეთებს ე. სირაძე, ის აღნიშნავს, რომ მუშების შტატის შემცირება ხდება ახალდაბის სახერხ ქარხანაში, პროფესიონალურ კავშირის გამგეობის დაუკითხავათ. ამის შესახებ კრებამ დაადგინა, მიეცეს წინადადება ბორჯომის მუშების პროფესიონალურ კავშირის გამგეობას, მიაქციოს სათანადო ყურადღება ამ არა სასიამოვნო გარემოებას ახალდაბის მუშებში.

ბორჯომის ხერხის ქარხნის ორგანიზაციიდან მოხსენებას აკეთებს ზაქრაძე. როგორც ირკვევა მოხსენებიდან ხერხის ქარხნის მუშებში ინდიფერეტიულათ ეპყრობიან კრებებს, ამის შესახებ კრებამ დაადგინა: ეთხოვოს ამხ. ე. შენგელიას, რომ მან მიიღოს შესაფერი ზომები და მუშების გათვითცნობიერებას ხელი შეუწყოს.

ბაკურიანის ქვე კოლექტივიდან მოხსენებას აკეთებს ა. კაპანაძე, არის მუშაობა, მოვაწყვეთ ქალების წრე რომელშიაც შედის 11 წევრი.

ამხ. ვიქ. ღლონტის მოხსენების შესახებ კოლექტივმა დაადგინა: დაევალოს ვიქ. ღლონტს შემოიტანოს ეს მოხსენება წერილობით და გაეგზავნოს ცეკას ცნობისთვის და ზომების მისაღებათ.

ბორჯომის მამულის მოსამსახურეების პროფესიონალურ კავშირის არჩევნების შესახებ მოხსენებას აკეთებს ვ. ზაქრაძე, კრებამ დაადგინა დაევალოს ყველა ამხანაგებს დაესწრონ ამ არჩევნებს, რათა გამგეობაში გავიდენ ჩვენი ამხანაგები.

ქ. დინჯაძე.

სახალხო გვარდიაში

ახალციხე. 24 სექტემბერს საოლქო შტაბის აუდიტორიაში შესდგა გვარდიელთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 60 დე კაცი. მოხდა არჩევნები სრულიად საქართველოს სახალხო გვარდიის ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატისა. არჩეულ იქნა ნ. წივწივაძე. ამის შემდეგ კრებამ გაარჩია საკითხი გვარდიის კოოპერატივის დაარსების შესახებ. კრებამ აღფრთოვანებით მიიღო წინადადება და აირჩია საორგანიზაციო კომისია, რომელიც ჩასწერს კოოპერატივის წევრებს, გამოიმუშავებს წესდებას, პროექტს და მოიწვევს წევრთა საერთო კრებას გამგეობის ასარჩევად. საპაიო გადასახადი—500 მან. და ხარჯებისათვის 50 მ. იქნა დაწესებული.

— საოლქო შტაბთან არსებული კულტურულ-განმანათლებელი განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს თავის აუდიტორიაში 1 ოქტომბრიდან შემოიღოს წერა-კითხვის სწავლება, ლექციების მოწყობა სახალხო კითხვების შესახებ. თავის მუშაობის გასაფართოებლად და იმისთვის, რათა გვარდიელთათვის და ჯარისკაცებისათვისაც ასეთივე საშუალება შეიქნას განვითარებისა და გათვითცნობიერებისათვის, — მიღებულია წინადადება შეთანხმებულ იქნეს მუშაობა ჯართან და ერობასთან, საიდანაც მოწვეული იქნებიან წარმომადგენლები.

— —

ხ. უდე. 26 სექტემბერს მოხდა სოფ. უდის რაიონის გვარდიელთა კრება. ერთხმად იქნა მიღებული წინადადება ახალციხის გვარდიის კოოპერატივში წევრებათ ჩაწერის შესახებ. არჩეულ იქნა დელეგატი გვარდიის ყრილობაზე.

კრებამ იმსჯელა ქობლიანის რაიონში უკანასკნელ ხანებში გახშირებულ ყაჩაღობის შესახებ.

გვარდიელებმა აღნიშნეს, რომ ამ რაიონში უმთავრესად სამი ყაჩაღია, რომელთაც მრავლად მოეპოვებათ აგენტები ყველა სოფლებში და იმათ შემწეობით მთელ რაიონში მცხოვრებთ მოსვენება არა აქვთ.

უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ რაიონის კომისარი თავის მილიციონერებით საუკეთესო დამცველია ამ ავაზაკების და ქურდ-ბაცაცებისა. კრებამ ერთხმად დაადასტურა მრავალი ფაქტი და მოითხოვა გადამჭრელი ზომები იქნეს მიღებული ამის საწინააღმდეგოთ. ბოლოს მიღებულ იქნა რეზოლიუცია იმის შესახებ, რათა ამ მუშაობაში გვარდიის საოლქო შტაბი თავის მხრივ შეუთანხმდეს ერობას, დაეხმაროს მას ძველი ადმინისტრაციის გარდახალისებაში. გამომუშავებულ უნდა იქნეს სასწრაფო ზომები ყაჩაღობის და ქურდ-ბაცაცების ასალაგმავად. დადგენილების სისრულეში მოყვანა დაევალა მთავარ შტაბის რწმუნებულს და საოლქო შტაბს.

№ 6.

მუშათა შორის

ჭიათურა. 29 სექტემბერს შესდგა ჭიათურის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სხდომა, რომელსაც დაესწრო 16 წევრი. კრებას თავმჯდომარეობდა მ. დობორჯგინიძე, მდივნობდა ვ. ტუემალაძე. დღის წესრიგში იყო: 1) ბინა მუშათა ორგანიზაციებისათვის, 2) ჭიათურაში უვარგისი ხარისხის ქვის დამზადების შესახებ და მის წინააღმდეგ ბრძოლა.

პირველ კითხვის შესახებ კრებამ იქონია მსჯელობა და მიიღო რა მხედველობაში, რომ მუშათა ორგანიზაციები ჭიათურაში დიდ გაჭირვებას განიცდიან უბინობით, რაც აბრკოლებს მათ მუშაობას, საჭიროთ და აუცილებლათ მიიჩნია შექმნა მუშათა სახლის და ერთ ხმათ დაადგინა: ეთხოვოს ჭიათურის ქალაქის გამგეობას აღძრას შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს ზემოთ აღნიშნულ მიზნისთვის ჩამოერთვას პეტრე აბაშიძეს ჭიათურაში სახლი, სადაც თეატრია მოთავსებული მასზე მობმული მთელი შენობით, როგორც ქვეითა, ისე ზედა სართულები, ეზოთი და მთელი მოწყობილობით და გადაეცეს საკუთრებათ მუშათა კავშირების საბჭოს.

მეორე კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ზაქარია გურული, რომელიც აღნიშნავს თუ რა მნიშვნელობა აქვს ჭიათურისთვის და საერთოთ მთელი რესპუბლიკისთვის ჭიათურის შავ ქვას და რა სარგებლიანობას და ღირებულებას წარმოადგენს ის სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობისთვის. ამისათვის, ამბობს მომხსენებელი, დამზადებული და გატანილი მარგანეცი უნდა იქნეს კარგი ღირსების, რათა მას მეტი ყურადღებით მოეპყრან საზღვარ გარეთ და ამგვარათ ქვას კარგი ბაზარი შეექნეს.

ამ ბოლო დროს, როგორც აშკარათ სჩანს, ზოგიერთი მრეწველები (განსაკუთრებით წვრილები) ქვის ღირსებას ყურადღებას არ აქცევენ, ეზიდებიან მადნის პირებიდან და საწყობებზე ამზადებენ ყოვლად უვარგის ქვას და თითქმის ხშირათ უბრალო გაშავებულ მიწას, რომლის გასაღებით ისინი დროებით სარგებლობენ, მაგრამ ამ მოვლენის საზღვარ გარეთ შეუძლია ჭიათურის მრეწველობის დაცემა, თუ ეხლავე ყურადღება არ მიექცა და არ იქნა მიღებული ზომები უკეთესი ხარისხის ქვის დამზადებისთვის, რაიც უნდა აიღოს თავის თავზე მუშათა ორგანიზაციებმა.

ამ კითხვის გარშემო ილაპარაკეს ამხანაგებმა და ყველა აღნიშნავდენ წამოყენებული კითხვის მოგვარების აუცილებლობას.

კრებამ მოისმინა მოხსენება, აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ერთხმად დაადგინა; 1) საბჭო იღებს თავის თავზე ყოველგვარი საშუალებით ებრძოლოს ჭიათურაში ყალბი ქვის დამზადებას და გზავნას; ამ მიზნით დაარსდეს დროებით კომისია, რომელიც დღეიდანვე შეუდგება ბაქნების (საწყობების) დათვალიერებას და სადაც აღმოაჩენს უვარგის ქვას, აუკრძალავს მის დატვირთვას და გაგზავნას და მომავლისთვის აძლევს მრეწველებს წინადადებას კარგი ქვა დაამზადოს.

2) დაევალოს მეურმეების პროფესიონალურ კავშირს, რათა მან სასტიკი თვალყური ადევნოს თავის წევრებს, რომ ისინი არ ეზიდებოდენ ცუდი ღირსების ქვას, წინააღმდეგ შემთხვევაში კავშირმა იხმაროს მათ წინააღმდეგ ყოველგვარი ზომები.

3) დაევალოს სამრეწველო დაწესებულებების მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირს, რათა მან წინადებით მიმართოს და თვალყური ადევნოს მწონელებს, რათა უკანასკნელნი არ უწონიდენ ქვას იმ მეურმეებს, რომელნიც უვარგის ქვას მოიტანენ და ყოველთვის ასეთი შემთხვევა აცნობონ კომისიას.

4) დაევალოს ვაგონის მტვირთავ მუშებს, რომ მათ საეჭვო საწყობიდან და საერთოდ უვარგისი ქვა არ დატვირთონ ვაგონებში და ასეთი საწყობების სია გადასცენ კომისიას.

5) ვინაიდან საბჭომ იცის, რომ საწყობზე № 112 ეხლა დამზადებულია ყოვლად უვარგისი ქვა, მიეცეს წინადადება ვაგონების მუშებს არ დატვირთონ.

6) გაიკრას მოწოდება მუშებისადმი, რათა ყოველმა მუშამ მიაქციოს სათანადო ყურადღება აღნიშნულ მოვლენას და ყოველგვარი ცნობებით მიმართონ კომისიას.

7) დადგენილების პირველ მუხლში მოხსენებულ მებრძოლ კომისიას შემდეგში თავის შეხედულებით ირჩევს საბჭოს სეკრეტარიატი, ხოლო დღესვე აირჩეს პირველი კომისია, რათა დაჩქარებით შეუდგეს მუშაობას. კომისია შესდგება ექვსი კაცისაგან, რომელშიაც არჩეულ იქნენ: მ. დობორჯგინიძე, ს. ფალავა, კ. მეგრელიშვილი, ა. გენძეხაძე, ვ. გაფრინდაშვილი და ტ. ცერცვაძე.

8) მოეთხოვოს მრეწველთა საბჭოს, რათა მან თავის მხრით დანიშნოს ორი კაცი მოხსენებულ კომისიაში სამუშაოთ.

9) კომისიისთვის საჭირო ხარჯები უნდა იხადოს მრეწველთა საბჭომ, რისთვისაც გაეგზავნოს მას შესაფერი მიმართვა.

10) ვინაიდან საბჭო ზემოთ მოყვანილ ზომებს იღებს თავის საშუალებით და დროებით, ამისათვის ეთხოვოს დამფუძნებელი კრების წევრს ამხ. ზაქ. გურულს, რათა მან აღძრას მთავრობაში კითხვა, სადაც საბოლოვო და უფრო გადამჭრელი ზომები იქნეს გამომუშავებული დადგენილების განსახორციელებლათ და ცხოვრებაში გასატარებლათ, მანამდის კი ამ საქმეს უხელმძღვანელებს კავშირთა საბჭო მუშათა ორგანიზაციების და არჩეული კომისიის სახით.

მდივანი ვ. ტუემალაძე.

პროვინცია

ხ. გორა-ბერეჟოული. ეს სოფელი გაშენებულია შედარებით უფრო ნოყიერ ადგილზე, ვიდრე გურიის აღმოსავლეთ სამხრეთ ნაწილის სხვა მთაგორიანი სოფლები:

მაღლობზე ერთ ვერსზე გაწოლილია სწორი ვაკე შემოსული უცხო ხეებით, მცენარეებით, ვარდებით და სასეირნო გზებით; ოთხივე მხრივ დაშვებული ფერდობები მრავალ ნაირი ხეხილებით და შემდეგ ვაკე გაშენებული სოფლებით.

ზემოხსენებულ ბაღს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, მისი გამოყენება თავისი ვებერთელა შენობით შეიძლება სამეურნეო სასწავლებლისთვის, საავათმყოფოსთვის და სხვა, რაც ასე ესაჭიროება სოფელს.

მაგრამ, სამწუხაროთ, სიმდიდრე შეადგენს ყოფილ თავად ანდრია ერისთავის კერძო საკუთრებას, რომელიც დიდი ხანია არ სტუმრებია ამ სოფელს და განსაკუთრებით მას შემდეგ რაც გლეხებმა თავისი ნამუშევარის თავისივე ზურგით მიზიდვა შესწყვიტა მის ბეღელში.

დღეს არავინ იცის, სად სცხოვრობს პატრონი, მას აქ მუდმივათ არასოდეს არ უცხოვრია, შენობა, სახურავის დამპლებების გამო, ზიანდება, თუ დროზე არ გაუჩნდა პატრონი, დაყენება დანაშაულობაა საზოგადოების წინაშე. არსებობს კანონი, რომლის ძალითაც შეიძლება კერძო საკუთრების ჩამორთმევა საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, მით უმეტეს ასეთი საზოგადოებრივ მნიშვნელობის ქონებისა, რაც მორიგ კითხვათ უნდა დააყენოს ჩოხატაურის თემმა და ოზურგეთის სამაზრო ერობამ და იშუამდგომლოს, რომ ზემოხსენებული ქონება გადაეცეს ერობას სწავლა-განათლების საქმისათვის.

დღეს ამ სოფლის ეკონომიური მდგომარეობა ცუდია. გასულ წელს ცუდი მოსავლის გამო გლეხების დიდ უმრავლესობას წლის სარჩო არ მოსვლია. ჩოხატაურის თემს საზოგადო წესით ჩამოურთმევია სიმინდი ვისაც მეტი ჰქონდა, მაგრამ არაფერი მიუწოდებია დამშეულთათვის; ორ თვეზე მეტია, რაც ხალხი ხილით იკვებება. ახალ მოსავალს თუმცა კარგი პირი უჩანს, მაგრამ ხალხმა მიყო ხელი ნედლი სიმინდის ჭამას.

ჯერ კიდევ მაისში სოფელს, ს. ჯანბერიძის და ს. ცენტერაძის ხელმძღვანელობით, სიმინდის შესაძენათ შეუკრებია 80,000 მანეთი და გადაუცია ჩოხატაურის თემის თავმჯდომარისთვის. მასვე ჰქონებია სხვა სოფლებიდან მოკრებილი დაახლოებით 200,000 მანეთი. იგი გამგზავრებულა სიმინდის შესაძენათ გაგრაში, მაგრამ ჯერაც არ დაბრუნებულა. მას იქ რაღაც სავაჭრო გაუხსნია. უკანასკნელ დროს სოფელმა ცნობა მიიღო—სიმინდი ვერ უშოვია და ფული დიდი ხანია უკანვე დაუბრუნებიაო; ს. ჯანბერიძე ყოველ დღე დადის ამ ფულის უკან მისაღებათ და ხალხისთვის დასარიგებლათ, მაგრამ არამც თუ ფული ვერ მიიღო,—ისიც ვერ გაიგო, თუ სად არის ფული ან ვის ჰქონდა ამდენ ხანს.

სიძვირე კი წარმოუდგენელია. მაისში გლეხს ადგილობრივ ბაზარზე შეეძლო სიმინდის 400 მანეთად შეძენა; დღეს 1500 მანეთად ვერ შოულობს; ნასესხებ ფულში პროცენტებს იხდის და ცოლშვილი დამშეული ჰყავს. თემმა ამას ყურადღება უნდა მიაქციოს და ხალხს აცნობოს, ვის ჰქონდა ამდენ ხანს ფული, ან ვისგან მიიღოს იგი დღეს.

ქ. კაკურია.

—

გამოჩინებულის თემი. 1920 წლის 10 სექტემბერს ჩვენ გამოჩინებულის თემის სოფ. აბაშის და ზედა ნოლის ორივე სქესთაგან შემდგარ კრებამ მოვისმინეთ რა მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრის ამხ. ფილიპე გ. ლორიასგან საერთაშორისო და ჩვენი საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობის და დამფუძნებელი კრების და ჩვენი რესპუბლიკანური მთავრობის მუშაობის შესახებ.—ჩვენ ყველანი სრული კმაყოფილი ვრჩებით ასეთი მოხსენებით და სრულ ნდობას ვუცხადებთ დამფ. კრებას და ჩვენგან არჩეულ მთავრობას, რომელთა სამაგალითო და ღირს-შესანიშნავმა პოლიტიკამ შეგვანარჩუნა ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება და ჩვენი დამოუკიდებლობა, რომლის დასაცავად ჩვენს მთავრობას მუდამ ბურჯად ვიდგებით გვერდში ისე, როგორც დღემდე არ დაგვიშურავს თავისუფლების განმტკიცებისათვის ჩვენი მოქალაქეობრივი ძალ-ღონე.

მდივანი მელქისედეკ თევზაძე.

——

ქ. ზესტაფონი. (შორაპნის მაზრა). კვირას, 5 სექტემბერს ადგილობრივ რკ. გზის სასწავლებელში შესდგა ზესტაფონის რაიონის კოოპერატივთა კავშირის რწმუნებულთა კრება. დაესწრო 50-დე დელეგატი. თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ამხ. ს. მენაღარიშვილი. მდივნათ ვ. ლუტიძე.

განსარჩევი საკითხები იყო: 1) მოხსენება ზესტაფონის რაიონის კოოპერატ. კავშირისა, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 3) გამგეობისა და საბჭოს ერთი წევრის არჩევა, 4) მორიგი საკითხები.

პირველ კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი ამხ. ა. თურმანიძე. უკანასკნელი აცნობს კრებას, რომ ახალი გამგეობის მუშაობა არ იყო ხანგრძლივი—სულ 3—4 თვეა, რაც ახალი გამგეობა მუშაობს კავშირში და ამ ხნის განმავლობაში მას არ შეეძლო თვალსაჩინო რაიმეს გაკეთება.

მთავარი ყურადღება იყო მიქცეული იქითკენ, რომ სურსათ-სანოვაგე შეგვექნა, მაგრამ შექმნილ პირობებში კავშირის გამგეობას ბევრი დაბრკოლებები ჰქონდა. ცენტრმა სიმინდი ვერ მოგვაწოდა. მაშინ კავშირმა თვით მიმართა თავის ძალებს: გაგზავნა თავის წარმომადგენელი სამურზაყანოში, მაგრამ იქაც დიდი დაბრკოლებებს შეხვდა.

კავშირის გამგეობამ მთავარი ყურადღება მიაქცია ადგილობრივათ აბრეშუმის პარკის შეძენას, რაც დაახლოვებით გამგეობამ შეასრულა; თვითონ შეისყიდა აბრეშუმი და მიაწოდა ცენტრს.

ამას გარდა კავშირის გამგეობამ მიაქცია ყურადღება ანგარიშების წარმოებას, რასაც გამგეობა მოუნდა თითქმის ორი თვე.

გამგეობის შემდეგ მოხსენებით გამოდის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. კ. ბუაჩიძე.

უკანასკნელი მოახსენებს კრებას, რომ სარევიზიო კომისიამ, გადაათვალიერა რა გამგეობის მუშაობა, შეადგინა ოქმი, რომელიც მთლიანათ გაიზიარა საბჭოს და გამგეობის წევრებმა. თუმცა ანგარიშები, ამბობს მომხსენებელი, არის ეხლა დაწყობილი, მაგრამ სარევიზიო კომისიამ ნახა ერთი ყოვლად დაუშვებელი ჩვეულება გამგეობისა; ეს გახლავთ: გამგეობის წევრებზე, კავშირში მომუშავეებზე და კერძოთ კონტრ-აგენტებზე ირიცხება კავშირის სალაროდან გამოტანილი დიდი ავანსები. ავანსები იწყება 100.000 მანეთიდან და თავდება სულ მცირე 20,000 მან. ეს ავანსები აუცილებლათ უნდა სწორდებოდეს იმ წამსვე, რა წამსაც გამგეობის წევრი იქნება იგი, თუ სხვა მოსამსახურე, დაბრუნდება „კომანდიროვკიდან", როგორც ეს სრულიათ სამართლიანათ უქნია გამგეობის წევრს ა. თურმანიძეს. ქვევით მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ყოვლად დაუშვებელია კერძო პირის—კონტრ-აგენტის საშვალებით, რომ რაიმე სანოვაგეს იძენდეს კავშირი; ამისათვის არსებობს სოფლების კოოპერატივები.

მოხსენების შემდეგ იყო ბევრი შეკითხვები, რის შემდეგ გამოირკვა: გაუმართლებელი ავანსები რჩება თვით გამგეობის წევრ პ. ფანჩულიძეზე 75,000 მანეთამდე, კონტრ-აგენტ ვ. ბაქრაძეზე 70000 მანეთამდე, რომლისგანაც კავშირის გამგეობას არავითარი პირობა—კონტრაქტიც არ აქვს. ასეთი წვრილი, 30,000 ავანსები, ძლიერ ბევრი იყო და სწორედ სამართლიანად სარევიზიო კომისიამ ერთ-ერთ მუხლში (წარმოდგენილი ოქმისა) მიუთითა ამ გარამოებას და მოითხოვდა შემდეგში მის მოსპობას.

საერთოდ, შეკითხვებში და კამათში ყრილობამ სამართლიანად მიუთითა პლ. საყვარელიძეს, რომელიც ანგარიშების წარმოებაში—ბუხგალტერიის დაწყობაში იყო პასუხისმგებელი, რომ მისი მეოხებით კავშირის გამგეობას მოუხდა ზედმეტი თანხის გაღება ანგარიშების ასაწყობად. ეს ყრილობა თანახმა იყო, გადაეხადა პლ. საყვარელიძეს 20,500 მან., რომელიც დასჭირდა მოწვეულ პირებს ანგარიშების მასასწორებლად, მაგრამ, მიიღო რა მხედველობაში საქმის იურიდიული მხარემ ცხარე კამათის შემდეგ, კრებამ მოხსნა ეს საკითხი.

კამათის შემდეგ რწმუნებულთა კრებამ, მიუთითა რა გამგეობას მრავალ დეფექტებზე, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა, ზესტაფონის რაიონის კოოპერატივთა კავშირის რწმუნებულთა კრება გადადის მორიგ საკითხზე.

შემდეგ მოხდა არჩევ. გამგეობის მესამე წევრად ყრილობამ აირჩია ამხ. ალ. ცქიტიშვილი. საერთოდ რწმუნებულთა კრება ვერ დარჩა მაინცა და მაინც კავშირის გამგეობის მუშაობით კმაყოფილი. და ეს მაშინ, როდესაც ეხლანდელი კავშირის გამგეობის წევრი პრ. ფანჩულიძე, შარშანდელი ამბების ამტეხი, რომელიც ყველაზე მეტს გაიძახოდა ანგარიშების სწორად დაწყობაზე შარშან კოოპერატივის რწმუნებულთა ყრილობაზე, საინტერესოა, რას გრძნობდა აღნიშნულ კრებაზე პრ. ფანჩულიძე, როდესაც გამოირკვა, რომ მის ხელში რაოდენიმე თვეა ყოფილა გაუმართლებელი 70,000-მდე საზოგადო ფული. ყველაფერს ამას მიაქცია ყურადღება საზოგადო კრებამ და რეზოლიუციაც შესაფერი გამოიტანა.

ნიკა.

წერილი რედ. მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოდ „გაზ. ერთობის" მოახლოებულ ნომერში ჩემს მცირე შენიშვნას:

სპეკულიანტების გაზეთმა „საქართველომ" 26 სექტემბრის ნომერში, დაბეჭდა, ხოლო გაზეთმა „ახალმა სხივმა" 3 ოქტომბრის ნომერში აჩქარებით გადმობეჭდა (ალბათ ეშინოდა სხვამ არ მომასწროსო) მომარაგების სამინისტროდან ჩემი ხელმოწერით კახელაძის მიმართ გაგზავნილი წერილი, და ამ წერილზე ააშენა უშველებელი დემაგოგია იმის შესახებ, რომ მე „აღმაცერად უყურებ პრესას" და... „ვინც გაზეთს კითხულობს არა ვცემ" და სხვა.

მე მესმის „საქართველოს" წელებზე ფეხების დგმა, მაგრამ რატომ დასჭირდა „ახალ სხივს" ასეთი დემაგოგია, იქნება იმიტომ, რომ შეშურდა „საქართველოს" ოპოზიციონერობა??

ხსენებულ წერილში ჩვენ ვწერდით „.... რევიზიის დასკვნა ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ საგაზეთო კორესპონდენციები. გთხოვთ მისცეთ რევიზიას სრული შესაძლებლობა საბუთებით გაცნობისა"... და სხ.

ამ დებულებას მე ახლაც ვღიარებ, გინდ კისერში მოსაჭრელი თავი წელში გადამჭრან ე. ი. ოფიციალური რევიზიის შედეგებს ჩემთვის მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საგაზეთო კორესპონდენციებს, რომლებსაც ხშირად შეცდომაში შეჰყავს ხოლმე რედაქცია და მკითხველები.

მოვაგონებ ამხანაგებს „ახალ სხივიდან", რომ დემაგოგიაშიაც კი გონიერებაა საჭირო.

მოგახსენებთ რომ ხსენებული წერილი კახელაძისადმი ოფიციალური, დანომრილი წერილი იყო. და რომ ვინმეს გაფრთხილება სდომებოდა, ამ წერილის კერძოთ გაგზავნაც შეეძლო, მაგრამ სადა აქვს ლოღიკა დემაგოგიას!

ჩემდამი რწმუნებულის განყოფილებას ამნაირი წერილის გაგზავნის მორალური უფლებაც ქონდა, და მის პირდაპირ მოვალეობასაც შეადგენდა. საბუთი?—ინებეთ!

სახელმწიფო კონტროლიორმა 23 ივლისის თარიღით № 4849 მოგვთხოვა, რომ სამინისტროს მოეთხოვა თავის რწმუნებულებისათვის, რათა მათ ხელი შეეწყო სარევიზიოდ დანიშნულ კონტროლიორებისათვის. **ამასთანავე გაახლებთ შემოწმებულ ასლს სახელმწიფო კონტროლიორის წერილისას*).**

რაც შეეხება „საქართველოს" და მიმბაძავ „ახალი სხივის" წერილებში მაგარ სიტყვებით ვარჯიშობაში „შეჯიბრებას", მე ჩემს თავს ნებას ვერ მივცემ, რომ მათი პასუხით მკითხველი შევაწუხო.

მომარაგების ვაჭრობა მრეწველობის განყოფილების გამგე: **ი. ყიასაშვილი.**

---

*) ასლი რედაქციამ მიიღო.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

განცხადებანი

სპეციალისტი მასწავლებლები

ამზადებენ ქართულ და რუსულ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. იხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს.
(3108—1—1)

უ სრულ-უფლებიანი გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე ივ. მარკ. მაჩაიძე
მათემატიკის

მასწავლებელი

იღებს ახალ მოწაფეებს მოსამზადებლად მე 3, 4, 5, 6, 7 კლასში შესასვლელად და მოწმობაზე, აგრეთვე მასწავლებლობის და აფთიაქის შეგირდის წოდებაზე. პლეხანოვის ქ. 25. შესავალი ალექსის ქ. 5. (9—12 ს. 2—4 ს.) (3240—2—2)

პ. გ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სუმბატის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ.
7 ნოემ.

კბილის ექიმი

ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიგლაძისა

ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

დოქტორი მედიცინისა

ვ. პ. მოსეშვილი

დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქვაშვეთის ეკლესიის ახლოს. (30—ოქტ.)

ექიმი

ი. ა. ლომოური

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობით შეპყრობილთ იღებს დილ. 10—12-დე და საღამოს 6—7 საათ. კირქის (კიროჩნი) ქუჩა № 6. ტელეფ. 6—80.
(4—ოქტ.)

ექიმი

[illegible] ზოლოტი

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებ. ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55
(11—ოქტ.)

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

დაბრუნდა და იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს-დის პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 64 (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფონი 14—60. (18—ოქტ.)

ექიმი

[illegible] ზოლოტი

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (11—ოქტ.

ექიმი

ლ. ვ. დიმენტი.

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალურად შინაგან და ქალის ავათმყ. დილის 9—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. ნიკოლოზის ქ. № 75, კიროჩნის ქ. ახლო ტელეფ 11—51. (11—ოქტ.

ექიმი

ი. ი. [illegible]

სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ.
(14 ოქტ.)

ექიმი

კ. ტყეშელაშვილი

ღებულობს ავათმყოფებს: **საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ.** (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7 ½ საათ. მიხეილის საავათმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1. (12-ოქტ.

სამკურნალო

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

მიხეილ გედევანიშვილისა

დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—ნოე.)

[illegible] მ. ა. შაფრანი

სპეციალურად სიფილისი და [illegible] დღები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების [illegible] ღებულობს ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4—8 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი [illegible] ქ. № 33. (21 ნოე.)

ექიმი

ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914), ვენერიული (ტრიპერი), შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (5—ნოე)

ექიმი

ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.
7—ოქტ.

ექიმი

ე. ი. კალანდაძე

ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული სიფილისით (წამ. „606" და „914") ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საღ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზიმელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1 ნოემ)

ექიმი

ნ. ლ. ტურიაშვილი

იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (24—ოქტ.)

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გაჰპონზი. მიღება: დილის 10 ½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (23—ოქტ.)

[illegible] ა. დ. პეპელია

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 11 ოქტ..

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკუმოვი

გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან **მიხეილის პრ. № 23** ვორონცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეცილურად **სიფილისი,** ვენერიული ავათმყ. (გამწვავებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606" და 914 შეშხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ.
(7—ოქტ.)

დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—ელექი და გულისა. იღებს ახალს, რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
11 ოქტ.

ექიმი

გ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი

რ ვ ე უ ლ ე ბ ი

ყველანაირი სახელმძღვანელოები

ნ. ჟორდანიას ყველა ტომები და სხ. წიგნები იყიდება წიგნის მაღაზია „განათლება"-ში ოლღას ქ. № 6 ტელ. № 3—44.
(3234—3—2)

საკუთარი სტამბა, ერთობის ქუჩა №4.